პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 90 (10484) | სამშაბათი, 17 აპრილი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა

დღეს ნომერში:

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კალინინგრადში ჩავიდნენ (1-ლი გვერდი).

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალში (1-ლი გვერდი).

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება (1-ლი გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფს რესპუბლიკის ბიუროში (მე-2 გვერდი).

ვ. იუნოშევა, ო. კარიშევი. — ლენინის იდეებით ნათელი მომავლისაკენ (მე-2 გვერდი).

ეს ბაკეთდება მეეძავსე ხუთწლედში. — ვ. მეტრეველი. — სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ქსელის გაფართოება (მე-3 გვერდი).

სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა, დავიცვათ ხვნა-თესვის აბროწესები. — ი. გობეჩია. — თესვამ მოუმზადებლებს მოუსწრო; რ. დავითური. — მანქანები უმოქმედოდ დგანან (მე-3 გვერდი).

წერილი რედაქციას. — ... ტურაში უნდა დაარსდეს სამთო ტექნიკუმი (მე-3 გვერდი).

მსოფლიოს რუკასთან. — კ. ჯოხიძე. — მაროკო (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი პერიოდი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროდუქტების მკვეთრად გადიდების შესახებ საქართველოს საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები მთელი ჩვენი დიადი ქვეყნის ხალხებთან ერთად მხურვალე მოწონებით შეხვდნენ და ახალი კონკრეტული ვალდებულებები იკისრეს. ისინი წარმატებით იბრძვიან ამ ვალდებულებათა შესასრულებლად. თელავის რაიონის ნაფარეულის კალინინის სახელობის კოლმეურნეობამ აგროტექნიკურ ვადებში დათესა ჭზესუმზირა, კარტოფილი, ბოსტნეული კულტურები. ახლა აქ გაძლიერებული ტემპით თესავენ სიმინდს. ნაფარეულის მტს-ის ტრაქტორისტი შ. გობაძე სიმინდის კვადრატულ-ბუდობრივი თესვის ყოველდღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებს. ახმეტის მტს-ის მექანიზატორის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ს. რამაზაშვილის სატრაქტორო ბრიგადა სწრაფად და ხარისხოვნად თესავს სიმინდს კვადრატულ-ბუდობრივად.

პარტია გვასწავლის, რომ მარცვლეულის მეურნეობა მთელი სასოფლო-სამეურნეო წარმოების საფუძველია. მარცვლეულის სიუხვეზეა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარება. სასოფლო-სამეურნეო კულტურის უხვი მოსავლის მოყვანის საშინდარია ნიადაგის კარგად მომზადება, მაღალხარისხოვნად და დროზე თესვა საუკეთესო თესლით.

დადგა საგაზაფხულო თესვის გადამწყვეტი პერიოდი. ახლა თესვის გეგმის შესრულებაში ძვირფასია არა მარტო თვითეული დღე, არამედ თვითეული საათიც კი. წელს გაზაფხულმა დაიგვიანა. ამიტომ ჩვენი ვალია საუკეთესო მუშაობით დავძლიოთ სიძნელენი, სწრაფად ავინაზღაუროთ დაკარგული დრო. აუცილებელია ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის თესვა მოუწყოს უკეთეს ვადებში და მაღალი ხარისხით, ყველა აგროტექნიკური მოთხოვნილების მკაცრად დაცვით.

არის სიგნალები, რომ მთელ რიგ რაიონებში საგაზაფხულო თესვა ჯერ კიდევ არ გამხდარა ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ნამდვილი ზრუნვის საგნად. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში ზოგიერთი კოლმეურნეობა აჭიანურებს ხორბლისა და ქერის თესლის სათეს კონდიციამდე აყვანას, რამდენიმე ტონა მინერალური სასუქი გაუზიდავია სოფლმომარაგების სტალინირის საწყობებიდან და ამ მდგომარეობის აღსაკვეთად ოლქში არ იღებენ გადამჭრელ ზომებს. ხორბლისა და ქერის თესლის სათეს კონდიციამდე აყვანის საქმეში ჩამორჩენაა წალკის, ადიგენის, თიანეთისა და თეთრი წყაროს რაიონებში.

თესვის ჩამორჩენასთან ერთად მინდვრის სამუშაოებში ვხვდებით აგროტექნიკის დარღვევის ფაქტებს. მაგალითად, ასეა ბოლნისის რაიონის თამარისის მტს-ის ზონის არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში“. ეს იმითაც აიხსნება, რომ თამარისის მტს-ის დირექცია ნაკლებად ეხმარება კოლმეურნეებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ვადების დაცვაში. ამასთან ამ მტს-ში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ტრაქტორების მოცდენა მინდვრის სამუშაოებში. ტრაქტორების მოცდენისა და საგაზაფხულო ხვნაში აგროტექნიკის დაუცველობის ფაქტებს ვხვდებით გულრიფშისა და მაიაკოვსკის რაიონებშიც.

ზოგან არის მიდრეკილება გაზაფხულის დაგვიანების საბაბით ნაკლები რაოდენობით დათესონ კვადრატულ-ბუდობრივად. ამ მხრივ შეიძლება დავასახელოთ ქედის მტს-ი, რომელმაც 15 აპრილისათვის მზესუმზირა დათესა 1 269 ჰექტარზე, აქედან კვადრატულ-ბუდობრივად მხოლოდ 25 ჰექტარი. ქედის მტს-ს, რომელსაც პირველხარისხოვანი ტექნიკა აქვს და მექანიზატორთა კარგი კადრები ჰყავს, ეს არ ეპატიება. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ კვადრატულ-ბუდობრივად თესვა შეიცავს შრომის ნაკლები დანახარჯით ტექნიკური კულტურების უხვი მოსავლის მიღების დიდ შეაძლებლობას. ამისათვის საჭიროა კარგად მოვამზადოთ ტექნიკა, კვალიფიციურად და ხარისხოვნად დავთესოთ, რათა ნამდვილად ვივიღოთ კვადრატები, რაც იმის შესაძლებლობას შექმნის, რომ ნათესებს ორი მიმართულებით დამუშავდეს, მაღალი მოსავალი მივიღოთ. სოფლად ძომუშავე აგრონომები და ინჟინერ-მექანიზატორები ვალდებული არიან თესვის ხარისხისადმი მტკიცე კონტროლი დააწესონ და არ დაუშვან აგროტექნიკის მცირედი დარღვევაც კი.

ახლა პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას აქცევენ სიმინდს, იმიტომ რომ ეს უხვმოსავლიანი. დიდი შესაძლებლობა კულტურაა, მნიშვნელოვან როლ ასრულებს მარცვლეულის რესურსების გადიდებისა და მეცხოველეობისათვის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის საქმეში. საქართველოში სიმინდი ძველი კულტურაა, აქ მისი მოყვანია დიდი გამოცდილებაა შეძენილი. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ არის ფაქტები, როცა არ იცავენ სიმინდის მოყვანის აგროტექნიკას და მეტად დაბალი მოსავალი მოჰყავთ. ამის მაგალითი ბევრია. აბაშა ძირითადად სიმინდის მწარმოებელი რაიონია, მაგრამ გასულ წელს აქ თესვის და დამუშავების აგროტექნიკური ვადების დარღვევის შედეგად საშუალოდ ჰექტარზე რაიონში მხოლოდ 7,3 ცენტნერი სიმინდი მოიყვანეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 19 ცენტნერისა. ამ მწარე გაკვეთილიდან ზოგიერთ მუშაკს წელსაც არ გამოაქვს სათანადო დასკვნები. გაკვირვებას იწვევს ის მდგომარეობა, რომ სიმინდის თესვის დრო დადგა, ხოლო გუდაუთის და სხვა რაიონებში საგაზაფხულო ხვნა ჭიანურდება, რაც, ცხადია, აფერხებს თავის დროზე თესვას.

სიმინდის მოსავლიანობის გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობაა ჰიბრიდული თესლით თესვა. ჰიბრიდი დაახლოებით 30 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევა, ვიდრე თესლის ჩვეულებრივი ჯიშები. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მტს-ების ხელმძღვანელთა ვალია ყველა ნაკვეთი უზრუნველყონ სიმინდის მაღალკონდიციური თესლით. ამ გაზათხოლზი ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში სიმინდის დაყალიბებული თესლით უნდა დათესოს 30 ათასი ჰექტარი. ასეთი თესლით თესვის უპირატესობა ის არის, რომ იგი საგრძნობლად ამცირებს მუშახელის საჭიროებას ნათესების გამოშირვაზე. დიდი მუშაობა მოელით მტს-ების მექანიზატორებს. მათი ღირსებისა და სახელის საქმეა ქმედითი დახმარება გაუწიონ კოლმეურნეობებს თესლის დაყალიბების საქმეში.

საგაზაფხულო თესვის მაღალ აგროტექნიკურ დონეზე ჩატარებისათვის უხდა მოვაწყოთ სატრაქტორო ბრიგადების სადღეღამისო მუშაობა, სრული დატვირთვით გამოვიყენოთ სათესი აგრეგატები.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა გამალონ ორგანიზატორული მუშაობა გამოვლინებულ ნაკლოვანებათა თავის დროზე გამოსწორებისათვის. პარტიონ რაიონული კომიტეტები საფუძვლიანად უხდა გაეცნონ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურში ხვნა-თესვის ფრონტზე საქმის ვითარებას და ადგილზევე დაეხმარონ მათ საგაზაფხულო თესვის დაჩქარებაში.

დროზე და მაღალხარისხოვნად ჩავატაროთ საგაზაფხულო თესვა — ასეთია ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებისა და სოფლის ყველა მშრომელის გადაუდებელი ამოცანა.

ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი კალინინგრადში ჩავიდნენ

კალინინგრადი, 15 აპრილი. (საკდესი). დღეს 14 საათსა და 20 წუთზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ა. ბულგანინი და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ნ. ს. ხრუშჩოვი, რომლებიც დიდი ბრიტანეთის მთავრობის მიწვევით ინგლისში მიემგზავრებიან, სპეციალური მატარებლით კალინინგრადში ჩამოვიდნენ. ვაგზალში, რომელიც მორთული იყო სსრ კავშირის სახელმწიფო ალმებით, ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარე და ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ვ. ტ. ლაცისი, ლატვიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. ე. კალნბერზინი, ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ი. გ. კებინი, ლიტვის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ა. ი. სნეჩკუსი, ლიტვის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. ი. შუმაუსკასი, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ა. მიურისეპი, არმიის გენერალი ა. ვ. გორბატოვი, ადმირალი ა. გ. გოლოვკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის კალინინგრადის საოლქო კომიტეტის მდივანი ბ. ა. ბროვკინი, პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის ბიუროების წევრები, მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების დეპუტატები.

ვაგზლის მოედანზე შეკრებილი ქალაქის ათასობით მშრომელი გულთბილად მიესალმა პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

შემდეგ ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები მანქანებში ჩასხდნენ და ბალტიისკისაკენ წავიდნენ.

ქალაქში სვლის მთელ გზაზე ნ. ა. ბულგანინსა და ნ. ს. ხრუშჩოვს მხურვალედ მიესალმებოდა ათასობით ადამიანი.

აი ნავმისადგომიც, რომელთანაც დგას კრეისერი „ორჯონიკიძე“. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ნ. ს. ხრუშჩოვი და მათი თანმხლები პირები ადიან კრეისერის გემბანზე. გაისმის საბჭოთა კავშირის ჰიმნი. ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი და ნ. ს. ხრუშჩოვი ესაუბრებიან მატროსებსა და ოფიცრებს. შემდეგ გამცილებელთა წინაშე კრეისერიდან მოკლე სიტყვა წარმოთქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

— მალე ნახვამდის, — ამბობს იგი სიტყვის დასასრულს.

— ბედნიერი ნაოსნობა, — გაისმის საპასუხოდ.

17.00 საათზე კრეისერმა „ორჯონიკიძემ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ალმით ბალტიისკი დატოვა და კურსი პორტსმუტისაკენ აიღო.

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალში

კიევი, 14 აპრილი. (საკდესი). დიდია უკრაინის მშრომელთა სიყვარული უკვდავი ლენინისადმი, უსაზღვროა მათი ერთგულება ლენინიზმისადმი. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს ვლადიმერ ილიას-ძის დაბადების 86-ე წლისთავის წინ.

ამ დღეებში სულ უფრო მეტი დამთვალიერებელი მოდის ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის კიევის ფილიალში, სადაც თავმოყრილია 5 ათასზე მეტი დოკუმენტი ვ. ი. ლენინის ცხოვრებისა და რევოლუციური მოღვაწეობის შესახებ.

ღირსშესანიშნავი თარიღისათვის მუზეუმის ფილიალის ექსპოზიცია მნიშვნელოვნად გაფართოვდა. მას შეემატა ვ. ი. ლენინის 200-ზე მეტი ხელნაწერი და შრომა, ფოტოსურათები, სახვითი ხელოვნების ნაწარმოებნი.

ყურადღებას იპყრობს მეშვიდე დარბაზში ექსპონირებული ვ. ი. ლენინის ხელნაწერის ფოტოპირი „მარქსიზმის კარიკატურისა და „იმპერიალისტური ეკონომიზმის“ შესახებ“. მუზეუმის დათვალიერებელნი დაკვირვებით კითხულობენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის წინ დაწერილ სიტყვებს სოციალიზმზე სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების თავისებურების შესახებ, და ყოველი მათგანი სიხარულით ფიქრობს, რომ ლენინური წინასწარხედვა ბრწყინვალედ დაადასტურა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკამ.

აქ პირველად არის ექსპონირებული „სბორნიკ სოციალ-დემოკრატა“ № 1 (1916 წლის ოქტომბერი), რომელშიც დაბეჭდილია ვ. ი. ლენინის სტატიები „სოციალისტური რევოლუცია და ერთა თვითგამორკვევის უფლება“ და „შედეგები დისკუსიისა თვითგამორკვევის შესახებ“, გაზეთი „სოციალ-დემოკრატი“ № 56, რომელშიც დაბეჭდილია ვლადიმერ ილიას-ძის სტატია „სეპარატული ზავის შესახებ“, წარმოდგენილია ვ. ი. ლენინის ცნობილი სტატიის „კარლ მარქსის“ ხელნაწერის ფოტოპირი, გრანატის ენციკლოპედიური ლექსიკონის ეგზემპლარი, სადაც „ვ. ილინის“ ხელმოწერით დაბეჭდილია ეს სტატია.

ექსკურსანტები ინტერესით ათვალიერებენ მხატვარ ლოპუხოვის სურათს „პეტროგრადში“, რომელიც მუზეუმმა შეიძინა და რომელიც ასახავს ვ. ი. ლენინის დაბრუნებას იატაკქვეშეთიდან 1917 წლის ოქტომბერში, ფოტოსურათს „ლენინი კომინტერნის I კონგრესზე“ და ბევრ სხვა მასალას.

მუზეუმის დამთვალიერებელთა წიგნში მშრომელები წერენ ამაღელვებელ სიტყვებს. ისინი აღნიშნავენ ლენინური იდეების გამარჯვებას, თვალსაჩინო წარმატებებს, რომლებიც საბჭოთა ხალხმა მოიპოვა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, მსოფლიოს გარდამქმნელი დიადი მოძღვრების — მარქსიზმ - ლენინიზმის მოძღვრების დროშით.

რკინიგზის ხაზი აქჯოგაი-ლანჯოუ

ალმა-ატა. (საკდესი). სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის ა. ი. მიკოიანის პეკინში ყოფნის დროს შვიდ აპრილს ხელი მოაწერეს შეთანხმებას ლანჯოუდან თურქესტან-ციმბირის რკინიგზის სადგურ აქტოგაიმდე რკინიგზის მშენებლობისა და ამ რკინიგზაზე 1960 წლიდან პირდაპირი მიმოსვლის მოწყობის შესახებ.

როგორც საკდესის კორესპონდენტს „სიბგიპროტრანსის“ მთავარმა ინჟინერმა ამბ. სავჩენკოვმა აცნობა, შარშან თურქესტან-ციმბირის მაგისტრალის ტრასის წინასწარ გამოკვლევაზე საზღვრამდე მუშაობდა „სიბგიპროტრანსის“ ოთხი საკვლევი და ორი გეოლოგიური პარტია. კვლევის შედეგად დასახულ იქნა ტრასის რამდენიმე ვარიანტი. ყველაზე ეკონომიური და ეფექტიანია ხაზი, რომელიც გაივლის თურქესტან-ციმბირის რკინიგზის სადგურ აქტოგაიდან სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ჯუნგარის კარამდე და აქ მომავალ სადგურ დრუჟბაში შეუერთდება ლანჯოუდან მომავალ ხაზს. აქტოგაი — საბელმწიფო საზღვრის ტრასის სიგრძეა 308 კილომეტრი.

საპროექტო დავალების შედგენა დამთავრდა. ახლა მშენებლობის რაიონში გაემგზავრა გეოლოგიური პარტია.

აღმოსავლეთის სსრ ადგილობრივი და სათბობის მრეწველობის სამინისტროს გეოლოგებმა ახალი გზის ტრასის ახლოს აღმოაჩინეს ქვანახშირის საბადო. ისახება ჯუნგარის კარის ველის ეკონომიური განვითარების მდიდარი პერსპექტივები.

„ჭუაფსეს“ ეკიპაჟის ყოფილ წევრთა ჯგუფი შინ დაბრუნდა

ოდესა, 14 აპრილი. (საკდესი). დღეს აქ ჩამოვიდა ტანკერ „ტუაფსეს“ ეკიპაჟის ხუთი ყოფილი წევრი — გემის მოტორისტები მ. ი. შინინი და ვ. ი. ლუკაშოვი, მატროსები ა. პ. შირინი და ვ. დ. რიაბენკო, გემის ბუხჰალტერი ნ. ი. ვაგანოვი. ისინი, როგორც ვიცით, ეკუთვნოდნენ ჩინკაიშელების მიერ 1954 წელს გატაცებული ტანკერის ეკიპაჟის იმ ნაწილს, რომელიც შარშან ტაივანიდან ამერიკას შეერთებულ შტატებში გაგზავნეს.

ჩამოსულთ ვაგზალზე შეხვდნენ ტანკერ „ტუაფსეს“ ყოფილი კაპიტანი ვ. ა. კალინინი, „ტუაფსეს“ ეკიპაჟის წევრები, რომლებმაც უფრო ადრე დააღწიეს თავი ჩინკაიშელთა ტყვეობას, შავი ზღვის სანაოსნოს მუშაკები, ნათესავები და ნაცნობები. მათ გულთბილად მიულოცეს ჩამოსულთ სამშობლოში, თავიანთ ოჯახებში დაბრუნება.

საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება

★

კარგი მაჩვენებლები

ბათუმი. (საკ. კორ.). ბათუმის საწარმოთა კოლექტივები საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებას ახალი წარმატებებით აღნიშნავენ.

სტალინის სახელობის ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის კოლექტივმა მარტის დავალება სამი დღით ადრე — 28 მარტისათვის შეასრულა და ქვეყანას გეგმის გადამეტებით მისცა ათასობით ტონა ძვირფასი ნავთობპროდუქტები. ქარხანაში გაჩაღებულია მუშაობა ტექნოლოგიურ დანადგართა რეკონსტრუქციისა და ნავთობგადამამუშავების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფისათვის.

გადაჭრით გაეუმჯობესეს მუშაობა ბათუმელმა მანქანათმშენებლებმა. მათ გადაჭარბებით შეასრულეს პირველი კვარტალის დავალება. წელს პირველ კვარტალში მანქანათმშენებლებმა აითვისეს ახალი მანქანის — ჩაის საფიქსაციო აპარატის წარმოება.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი წარმატებები მოიპოვა ქალაქის მოწინავე საწარმომ — ვოროშილოვის სახელობის მომთუთიებელმა ქარხანამ, რომელმაც პირველი კვარტალის დავალება ჯერ კიდევ 22 მარტისათვის გაანადგა.

ქსოვილი გეგმის გადამეჯებით

ბორი. (საკ. კორ.) ბამბის ქსოვილების კომბინატში ფართოდ ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. გორელმა ფეიქრებმა, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 25 ათასი მეტრი ხამი და 239.700 მეტრი მოჩითული ქსოვილები.

კომბინატში ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე მაღალი ასორტიმენტის ქსოვილების წარმოებ ს გასადიდებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

★ ★

დაწინაურებულ საწარმოებში

ქუთაისი. (საკ. კორ.). ქალაქის საწარმოებს შორის საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში წინ არის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც გადაჭარბებით შეასრულა პირველი კვარტალის საბელწყოფო დავალება და მაღალნაყოფიერად მუშაობს აპრილშიც. საუკეთესო მაჩვენებლებით გამოირჩევა საჩეჩ-სართავი საამქროს კოლექტივი. იგი ყოველდღიურ დავალებებს 15-20 პროცენტის გადამეტებით ასრულებს. მოწინავე ფეიქრები ვ. ცინცაძე, ე. ჯიმშელეიშვილი, ო. ივანიკოვა, ლ. ივანგოროდსკაია და სხვები ორმაგად ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს.

შუშის ტარის ქარხნის კოლექტივი მოლდავეთის სსრ ქალაქ ტირასპოლის შუშის ტარის ქარხნის კოლექტივთან სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმის შემდეგ ახალი ენთუზიაზმით შეუდგა შრომას. მიმდინარე წლის პირველი კვარტალის დავალება შესრულებულია 105,1 პროცენტით, გამოშვებულია 7 მილიონამდე ცალი შუშის ქილა. აპრილში ქარხანა შეუფერხებლად მუშაობს და ტარით ამარაგებს ერევნის, თბილისის, ბათუმის, გორის, სამტრედიის, ქუთაისისა და სოხუმის საკონსერვო საწარმოებს.

სამკერვალო ფაბრიკა ეჯიბრება ლენინაკანის, კიროვაბადისა და ბათუმის სამკერვალო ფაბრიკებს. ქუთაისელმა მკერავებმა, რომლებიც თავდადებით იბრძვიან გამარჯვებისათვის, იანვარ-თებერვლის გეგმა 111 პროცენტით გაანადგეს, ხოლო მარტის გეგმა სამი დღით ადრე შეასრულეს, დავალების გადამეტებით გამოუშვეს 72 ათასი მანთის პროდუქცია.

★ ★



ქუთაისი. სამთო მანქანათმშენებელ ქარხანაში ყოველდღე იზრდება საპირველმაისო შრომითს ვახტზე დამდგარ მოწინავე ადამიანთა რიცხვი. სურათზე: ხარატი ვ. კოროვინი, რომელიც საპირველმაისო ვახტზე დგას, გეგმას ყოველდღიურად 250 პროცენტით ასრულებს.

ფოტო ი. საყუნისა.

ვადაზე 5 დღით ადრე

სამტრედია. (საკ. კორ.). მიმდინარე წლის პირველ კვარტალში ნაყოფიერად იმუშავა რკინიგზის სამტრედიის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა. აწევითი შეკეთებიდან დავალების გადამეტებით გამოშვებულია ერთი ორთქლმავალი, ხოლო გარეცხვიდან — 10. 10 კილომეტრით არის გადამეტებული სადღეღამისო გარბენის ნორმა, საათში 4,4 კილომეტრით გაიზარდა ორთქლმავლების ტექნიკური სიჩქარე.

დეპოში დაწინაურდა სახარატო საამქრო, რომელმაც კვარტალის დავალება 192 პროცენტით გაანადგა.

მაღალნაყოფიერად იმუშავეს მძიმეწონასნმა მემანქანეებმა ს. ჯაშმა, გ. კოხრეიძემ, ვ. ჩიტაიამ, ი. გიგინეიშვილმა და ნ. ტალახაძემ, რომლებმაც 451 მძიმე წონის მატარებელი გადაიყვანეს და ნორმის გადამეტებით 122.449 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები გადაზიდეს.

დეპოს კოლექტივი იბრძვის, რათა აპრილის საწარმოო დავალება ვადაზე 5 დღით ადრე გაანადგოს.

მოწინავეთა რიგებში

მახარაძე. (საკ. კორ.). აბრეშუმის ძაფსაღებ-საგრეხი ფაბრიკის კოლექტივმა შესანიშნავად იმუშავა წელს პირველ კვარტალში და საუკეთესო მაჩვენებლებსაც მიაღწია. გეგმის გადამეტებით გამოუშვა 730 ათასი მანეთის საერთო პროდუქცია, გასწია 800 კილოგრამი ნედლეულის, საგრძნობი რაოდენობით საწვავის და ელექტროენერგიის ეკონომია, მოგვცა 350 ათასი მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვეს ნ. ჭეიშვილმა, ს. ღლონტმა, ლ. კრიგოლაპოვამ და ფაბრიკის სხვა მოწინავე ადამიანებმა. ისინი ახლა წარმატებით იბრძვიან საპირველმაისოდ უფრო მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვებისათვის.

პირველი საბჭოთა ექსკავატორი

ძოვრეკი. (საკდესი). 25 წლის წინათ, 1931 წლის აპრილში, კოვროვის საექსკავატორო ქარხნის ეზოში გამოვიდა პირველი საბჭოთა ექსკავატორი „კოვროვეც-1“.

ახლა ეს ექსკავატორი მუშაობს ყაზანთან ყაზანის რკინიგზის საგზაო კანტორის ერთ-ერთ კარიერში. ეს არის უზარმაზარი მანქანა, რომლის წონა 75 ტონას აღწევს, ისარი და ნიჩბის ტარი გაკეთებულია მოხის ძელებისაგან და გაძლიერებულია სქელი რკინით. ცალკეული ტევადობა უდრის 1,91 კუბურ ეტრს.

პირველი საბჭოთა ექსკავატორი მუშაობდა თეთრი ზღვის არხის, თურქესტან-ციმბირის რკინიგზის მშენებლობაზე და მთელ რიგ სხვა დიდ მშენებლობებზე. მოძრაობს რა თავისი სვლით, მან მეოთხედ საუკუნეში გაიარა ხუთჯერ მეტი მანძილი, ვიდრე მოსკოვიდან ვლადივოსტოკამდეა.

— მანქანა უნაკლოდ მუშაობს,—განაცხადა მემანქანემ ა. ნ. ნიკოლაევმა, რომელიც ამ მანქანაზე განუწყვეტლივ მუშაობს 23 წელიწადს.

ქსოვილი გეგმის გადამეჯებით

ბორი. (საკ. კორ.) ბამბის ქსოვილების კომბინატში ფართოდ ჩაღდება საპირველმაისო სოციალისტური შეჯიბრება. გორელმა ფეიქრებმა, რომლებიც თავდადებით მუშაობენ ახალი ხუთწლედის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის, პირველი კვარტალის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 101 პროცენტით შეასრულეს. გეგმის გადამეტებით გამოშვებულია 25 ათასი მეტრი ხამი და 239.700 მეტრი მოჩითული ქსოვილები.

კომბინატში ნაყოფიერი მუშაობა წარმოებს აგრეთვე მაღალი ასორტიმენტის ქსოვილების წარმოებ ს გასადიდებლად და პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფს რესპუბლიკის ბიუროში

★

პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტების მდივნების თათბირი

★

10-11 აპრილს სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფს რესპუბლიკის ბიუროში გაიმართა პარტიის რუსეთის ფედერაციის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პირველი მდივნების თათბირი. თათბირზე განხილულ იქნა შემდეგი საკითხები:

1. საგაზაფხულო თესვის ჩატარებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების ამოცანების შესახებ.

2. პარტიულ ორგანიზაციებში სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლისა და მშრომელთათვის ამ გადაწყვეტილებათა განმარტების ამოცანების შესახებ.

პირველი საკითხის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა ა. მ. შკოლნიკოვმა (ვორონეჟის ოლქი), ლ. ი. ფლორენტიევმა (კოსტრომის ოლქი), ვ. ს. მარკოვმა (ორიოლის ოლქი), ე. პ. კოლუშჩინსკიმ (ომსკის ოლქი), მ. ტ. ეფრემოვმა (კუიბიშევის ოლქი), დ. მ. მატიუშკინმა (კრასნოდარის მხარე), კ. გ. პისინმა (ალტაის მხარე), გ. ა. დენისოვმა (სარატოვის ოლქი), მ. კ. კრახმალევმა (ბელგოროდის ოლქი), ლ. ნ. ეფრემოვმა (კურსკის ოლქი), მ. ა. ეკსეენკომ — სსრ კავშირის ნავთობის მრეწველობის მინისტრმა, ს. ო. პოსტოვალოვმა (კალუგის ოლქი), პ. ი. მოროზოვმა — რსფსრ სოფლის მეურნეობის მინისტრმა, მ. ი. კანუნნიკოვმა (პსკოვის ოლქი), ტ. ა. იურკინმა — რსფსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრმა, ა. ბ. არისტოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ვ. პ. მილარშჩიკოვმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფსრ სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგემ, ნ. ი. ბელიაევმა — სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა.

გამოსულნი აღნიშნავდნენ, რომ რუსეთის ფედერაციის სოფლის მეურნეობის მშრომელები უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებს და წარმართავენ ღონისძიებებს მათი წარმატებით განხორციელებისათვის. ყველგან გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მეექვსე ხუთწლედის დავალებათა ვადამდე განხორციელებისათვის.

ვორონეჟის ოლქის სოფლის მეურნეობის მშრომელები გამოვიდნენ რძისა და ხორცის წარმოების გადიდებისათვის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებად. მათ ვალდებულება იკისრეს 1956 წელს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ერთიორად გაადიდონ ხორცის წარმოება, ესე იგი მეექვსე ხუთწლიანი გეგმით დადგენილი დავალებანი ნაცვლად ხუთი წლისა შეასრულონ ერთ წელიწადში, ხოლო რძის წარმოება ერთიორად გაადიდონ წელიწადნახევარში. ვორონეჟელებმა დიდი მუშაობა გააჩაღეს თავიანთ ვალდებულებათა შესასრულებლად. სამეურნეო წლის ხუთ თვეში — 1 ოქტომბრიდან 1 მარტამდე — ერთი საფურაჟე ძროხის საშუალო წველადობამ ოლქის კოლმეურნეობებში 203 პროცენტი შეადგინა გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ხოლო რძის საერთო წარმოება 2,2-ჯერ გადიდდა. 1 მარტისათვის ამ ოლქის კოლმეურნეობებში გასასუქებლად დაყენებული იყო 57 ათასი ღორი, ანუ 3-ჯერ და უფრო მეტი, ვიდრე გასულ წელს.

კრასნოდარის მხარის კოლმეურნეობებმა, მტს-ებმა და საბჭოთა მეურნეობებმა შეიმუშავეს ღონისძიებანი იმის უზრუნველსაყოფად, რომ შესრულდეს მეექვსე ხუთწლედის დავალებანი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდების დარგში: მარცვლეულის წარმოება 1957 წელს 1955 წელთან შედარებით გადიდდეს 1,5-ჯერ, აქედან სიმინდისა — 2,5-ჯერ, ხორცისა — 2,7-ჯერ, აქედან ღორის ხორცისა — 4,6-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, კვერცხისა — 4,6-ჯერ.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების დარგში დიდი ვალდებულებები იკისრეს ტამბოვის, ბელგოროდის, რიაზანის, კურსკის, ირკუტსკისა და მთელი რიგი სხვა ოლქების კოლმეურნეებმა, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა და წარმატებით ახორციელებენ მათ.

თათბირზე აღინიშნა, რომ მიღებულ ვალდებულებათა შესრულებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებას.

რსფსრ რაიონებში წელს საგაზაფხულო თესვისათვის მზადება უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს, ვიდრე წარსულ წლებში. მეტ წილ ოლქებში ტრაქტორების რემონტი თებერვალსა და მარტში დამთავრდა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები უკეთ არიან უზრუნველყოფილნი თესლით. შარშანდელზე უფრო ფართოდ არის დაყენებული მექანიზატორთა და კოლმეურნეთა სწავლება.

ამასთან ერთად აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში. ყურადღება მიექცა იმას, რომ მთელ რიგ ოლქებში — ორიოლის, კალუგის, პსკოვისა და ზოგიერთ სხვა ოლქში — არადამაკმაყოფილებლად ამზადებენ თესლს, თესლის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან დასარევლიანებულია. ცუდი მდგომარეობაა ჯიშიან ნათესებზე გადასვლის მხრივ. აღნიშნული ოლქების ხელმძღვანელები ჯეროვნად ვერ აფასებენ მეთესლეობას, ავიწყდებათ, რომ კარგი თესლის უქონლად არ შეიძლება თანამედროვე მოთხოვნების დონემდე ავამაღლოთ სოფლის მეურნეობა.

თათბირის მონაწილეებმა დიდი ყურადღება მიაქციეს სიმინდის უხვი მოსავლის მოყვანის, როგორც მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების ერთ-ერთი გადამწყვეტი პირობის, საკითხებს. გამოსულნი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ კოლმეურნეები გაბედულად აფართოებენ სიმინდის ნათესებს. მაგრამ ამ კულტურის თესვისათვის მზადება ყველგან როდი მიმდინარეობს დამაკმაყოფილებლად. ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ჯერ კიდევ არ გამოუყვია მიწის ნაკვეთები სიმინდის დასათესავად და არ გაუტანია სასუქები. მთელ რიგ ადგილებში ცუდად ინახება თესლი, ხოლო ზოგიერთ კოლმეურნეობას სათესლე მასალა არც კი მოუმარაგებია. სიმინდის მოყვანის წარმატებას წყვეტენ ადამიანები, კადრები. მაგრამ საკმაოდ ბევრია ისეთი კოლმეურნეობა, სადაც ადამიანებს შესწავლილი არა აქვთ კვადრატულ-ბუდობრივი წესით თესვის ტექნიკა, თუმცა ცნობილია, რომ თუ სწორი კვადრატები არ არის, ისე ორი მიმართულებით დამუშავების მექანიზაციას ვერ განვახორციელებთ და, მაშასადამე, უხვ მოსავალს ვერ მოვიყვანთ.

ცალკეულ ოლქებში დღემდე არ არის დათავრებული ტრაქტორების რემონტი. სერიოზული ჩამორჩენაა სათესი მანქანების, კულტივატორებისა და სხვა მისაბმელი მანქანების მომზადებაში. საქმის ინტერესები მოითხოვს, რომ თვითეული სათესი მანქანა მაქსიმალური დროის განმავლობაში იქნას გამოყენებული სამუშაოზე. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მისაბმელი იარაღების რემონტის უსწრაფესად დამთავრებას.

პარტიის საოლქო და სამხარეო კომიტეტებმა უნდა გაარკვიონ მდგომარეობა თვითეულ რაიონში, ხოლო რაიკომებმა — თვითეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში, თვითეულ მტს-ში, რათა უახლოეს დღეებში აღმოფხვრან ნაკლოვანებანი საგაზაფხულო თესვისათვის მზადებაში და უზრუნველყონ თესვის სამუშაოთა შესრულება საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში.

თათბირზე გააკრიტიკეს იმ მხარეებისა და ოლქების ხელმძღვანელები, რომლებმაც გეგმებში დაუშვეს მარცვლეულ კულტურათა ნათესი ფართობების შემცირება. აუცილებლად იქნა ცნობილი გამოსწორდეს ეს შეცდომები, გამოყენებულ იქნას ყველა შესაძლებლობა იმისათვის, რომ წელს მარცვლეული კულტურების ნათესი ფართობები გადიდდეს არა მარტო ყამირი მიწების ათვისების რაიონებში, არამედ რუსეთის ფედერაციის ყველა სხვა რაიონშიც.

თათბირის მონაწილეებმა განიხილეს ამოცანები რუსეთის ფედერაციის ოლქებში შაქრის ჭარხლის წარმოების გადიდებისა, უკვე მიმდინარე გაზაფხულზე ამ კულტურის ნათესების მნიშვნელოვნად გაფართოებისა, რათა მეექვსე ხუთწლიანი გეგმის დავალება შაქრის ჭარხლის წარმოების დარგში შესრულებულ იქნას 1958 წელს.

თათბირმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია იმას, რომ აუცილებელია კოლმეურნეებს, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებს განმარტოთ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიმართვა სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკისადმი, რადგან ამ მიმართვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მშრომელთა დარაზმვისათვის იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადასაჭრელად, რომლებიც სოფლის მეურნეობის წინაშე დგას მეექვსე ხუთწლედის პირველ წელს.

მეორე საკითხზე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესწავლის შესახებ — გამოვიდნენ ამხანაგები: ფ. რ. კოზლოვი (ლენინგრადის ოლქი), ნ. ვ. კისელიოვი (როსტოვის ოლქი), ი. კ. ეეგალინი (სტალინგრადის ოლქი), ზ. ი. მურატოვი (თათრეთის ასსრ), ფ. ს. გორიაჩევი (კალინინის ოლქი), პ. ნ. პოსპელოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ა. პ. კირილენკო (სვერდლოვსკის ოლქი), ვ. მ. ჩურაევი — სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფსრ პარტიული ორგანოების განყოფილების გამგე, ა. ბ. არისტოვი — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.

ყველა გამოსული ლაპარაკობდა იმ უდიდეს პოლიტიკურ და შრომითს აღმავლობაზე, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა გამოიწვია, იმაზე, რომ ეს გადაწყვეტილებები ერთსულოვნად მოიწონეს პარტიამ და ხალხმა. ყველგან საქალაქო და რაიონულ პარტორგანიზაციებში გაიმართა პარტიული აქტივის კრებები, მთავრდება პარტიული კრებების მოწყობა პირველადს პარტიულ ორგანიზაციებში. ეს კრებები გადაიქცა პარტიული რიგების ერთიანობის, კომუნისტთა შემოქმედებითი აქტივობის მკაფიო დემონსტრაციად.

როგორც გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, ყრილობის გადაწყვეტილებებსა და მასალებს სწავლობენ პარტიული განათლების მთელ ქსელში. შექმნილია ბევრი ახალი წრე და სკმინარი, მნიშვნელოვნად გამოცოცხლდა ლექციური პროპაგანდა. კომუნისტები და უპარტიო აქტივი დიდ ინტერესს იჩენენ ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი, მათ შესწავლას უკავშირებენ საწარმოების, კოლმეურნეობების, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების პრაქტიკულ ამოცანებს.

ამასთანავე თათბირმა ცხადყო, რომ იმ დიდ მუშაობასთან ერთად, რომელსაც პარტიული ორგანიზაციები ეწევიან, სერიოზული ნაკლოვანებებია ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში. ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია საკმაო აქტივობით ვერ იჩენენ საგიტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობას მშრომელებს შორის, ყოველთვის როდი უწევს დახმარებას პროპაგანდისტებსა და აგიტატორებს, ცალკეულ შემთხვევებში გვერდს უვლის იდეოლოგიური საკითხების არაუწორ განმარტებებს.

თათბირის მონაწილენი ლაპარაკობდნენ იმაზე, რომ ამჟამად ჩვენს პოლიტიკურ მუშაობაში არ არის იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ფართო და ღრმა პროპაგანდა და განუხრელი ბრძოლა მათი პრაქტიკულად განხორციელებისათვის. აღინიშნა, რომ აუცილებელია იდეოლოგიური მუშაობის შემდგომი ფართო გაშლა და ყველა იმ ნაკლის აღმოფხვრა, რომლებზეც ყრილობამ მიგვითითა. დიდი მუშაობა უნდა იქნას გაწეული პიროვნების კულტის შედეგების დაძლევისათვის, პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმების შემდგომი აღდგენისა და განვითარებისათვის. თათბირზე განსაკუთრებით ხაზგასმით აღინიშნა, რომ აუცილებლად საჭიროა პროპაგანდისა და აგიტაციის მჭიდროდ დაკავშირება კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, თვითეული ოლქის, რაიონის, საწარმოს, კოლმეურნეობის, მტს-ის, საბჭოთა მეურნეობის ამოცანებთან. აღინიშნა აგრეთვე სერიოზული ნაკლოვანებანი კადრებთან მუშაობაში.

თათბირის დასასრულს გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფს რესპუბლიკის ბიუროს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ნ. ი. ბელიაევი. მან აღნიშნა თათბირის დიდი მნიშვნელობა რუსეთის სფს რესპუბლიკის ოლქებისა და მხარეებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საქმეში.

ამხ. ბელიაევმა თათბირს აცნობა, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტის რსფს რესპუბლიკის ბიუროს შემადგენლობაში დამატებით შეყვანილი არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები ა. ბ. არისტოვი და პ. ნ. პოსპელოვი. მან საოლქო და სამხარეო პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, აგრეთვე რსფსრ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელებს მოუწოდა დაძაბულად იმუშაონ რუსეთის ფედერაციის, მისი ავტონომიური რესპუბლიკების, მხარეებისა და ოლქების ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

თათბირს ესწრებოდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები ამხანაგები მ. ა. სუსლოვი, ლ. ი. ბრეჟნევი და ე. ა. ფურცევა.

ვ. ი. ლენინი და ი. მ. სვერდლოვი რევოლუციის მოედანზე მოსკოვში 1918 წლის 7 ნოემბერს.
ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის ექსპოზიცია.

★

ლენინის იდეებით ნათელი მომავლისაკენ

დიდ ქალაქებთან დიდი ისტორიული მოვლენებიც არის დაკავშირებული. სახელოვანი ბედი ხვდა ლენინგრადს. ეს ქალაქი ის ადგილი გახდა, სადაც იშვა ახალი ერა კაცობრიობის ცხოვრებაში.

ეს ერა განუყრელად დაკავშირებულია იმ ადამიანთან, რომლის სახელსაც ატარებს ქალაქი ნევაზე.

და ამიტომ შემთხვევითი როდია, რომ ათეულ ათასობით ადამიანს, რომლებიც ყოველწლიურად ნახულობენ ლენინგრადს, პირველ რიგში აინტერესებს არა იმდენად ქალაქის არქიტექტურის ძეგლები, რამდენადაც ისტორიული ადგილები, დაკავშირებული იმ ამბებთან, რომლებიც ცნობილია მთელი მსოფლიოსათვის და რომლებიც უკეთესი მომავლისაკენ კაცობრიობის მისწრაფებათა განსახიერებას წარმოადგენენ.

ლენინგრადელები ფაქიზად ინახავენ ყოველივე იმას, რასაც კავშირი აქვს მათი ქალაქის სახელოვან რევოლუციურ წარსულთან. მათ ერთ-ერთი თავიანთი საუკეთესო სასახლე ამ წარსულის თავისებურ ძეგლად გადააქციეს. ეს არის მარმარილოს სასახლე, რომლის მშვენიერ დარბაზებში მზრუნველობით და სიყვარულით დაცულია ბრავალი ლენინური რელიკვია.

სასახლის დარბაზებში ხშირად დადიან ექსკურსიები ან ერთეული მნახველთა ჯგუფები. მათ შორის ნახავთ შვედსაც, პოლონელსაც, ინგლისელსაც, ერთი სიტყვით, თითქმის ყველა ქვეყნისა და ყველა ერის წარმომადგენლებს.

ამას წინათ იმ ვიტრინებთან, სადაც მინის ქვეშ ინახება ძვირფასი ლენინური ავტოგრაფები, თავი მოიყარა რამდენიმე ჩინელმა მუშამ, რომლებსაც მწვანე კიტელებზე გაკეთებული ჰქონდათ მათი თავისუფალი რესპუბლიკის ემბლემები. ჩინელებს მიუახლოვდა ორი მტკაცე შავგვრემანი კაცი, რომლებშიც ადვილად გამოიცნობდით ინდოელ სტუმრებს, ასე ხშირად რომ ნახულობენ უკანასკნელ დროს ლენინგრადს. ერთი მათგანი იურისტი იყო, მეორე — პოეტი.

ჩვენს ქვეყანაში უცხოელები მუდამ მეგობრული ყურადღებით არიან გარემოსილნი და, რა გასაკვირველია, რომ დარბაზში მყოფ ლენინგრადელებს შორის აღმოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც ჩინურ ენას სწავლობენ და რომ მათ ხალისით მოიწადინეს ჩინელი მუშებისათვის აეხსნათ ვიტრინაში გამოფენილი ისტორიული დოკუმენტის — ავტოგრაფის შინაარსი. ეს იყო ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სტატია „უმჯობესია ცოტა და კარგი“, რომელშიც დიდმა ბელადმა ჯერ კიდევ 30 წელზე მეტი ხნის წინათ გენიალური შორსმჭვრეტელობით აღნიშნა, პროფლიოს სამი უდიდესი ქვეყნის — რუსეთის, ჩინეთისა და ინდოეთის ერთიანობა, რომლებიც მოსახლეობის ჯიგანტურ უმრავლესობას შეადგენენ, გავლენას იქონიებს მთელი კაცობრიობის ბედზეო.

ჩინელი ამხანაგები იცნობდნენ ამ სტატიის შინაარსს, ვინაიდან იგი თარგმნილია მათ მშობლიურ ენაზე. მაგრამ იციან თუ არა მისი შინაარსი ინდოელმა სტუმრებმა?, — აი საკითხი, რომელიც აინტერესებდა ყველა დამსწრეს.

ამის შესახებ მათ ინგლისურად შეეკითხა მუზეუმის მეცნიერი თანამშრომელი. ინდოელმა იურისტმა თქვა, რომ მის სამშობლოში ვ. ი. ლენინის შრომები სულ უფრო პოპულარული ხდება და რომ ყველა ქვეყნის მშრომელთა მეგობრობისა და სოლიდარობის ლენინური იდეა მუდამ აღფრთოვანებდა და აღაფრთოვანებს ინდოელ ხალხს.

ამ კითხვაზე თავისებურად უპასუხა აგრეთვე ინდოელმა პოეტმა. მან ხელი მოჰკიდა მასთან მდგომ ჩინელსა და რუსს და მტკიცე რწმენით წარმოთქვა:

— ჩვენ მუდამ ერთად ვიქნებით! დიახ, ერთად ვიშრომებთ მშვიდობისათვის! — ეს მან თქვა რუსულად, მაგრამ იქვე მყოფმა ჩინელებმა და ინდოელმაც ძალიან კარგად გაიგეს ეს აზრი მანამდეც, ვიდრე ამ სიტყვებს უთარგმნიდნენ. ახალგაზრდებმა თავიანთი ღრმა ურთიერთ სიმპათიის ნიშნად ერთმანეთს მაგრად ჩამოართვეს ხელი.

თავისთავად ცხადია, რომ ამის შემდეგ ახალგაცნობილნი უკვე ერთად ათვალიერებდნენ მუზეუმს. ისინი მიადგნენ ვეებერთელა ვიტრინას, სადაც გამოფენილია მსოფლიოს მრავალი ხალხის ენებზე, მათ შორის ჩინურ და ჰინდი ენებზე გამოცემული ლენინის მრავალი შრომა.

ექსკურსიამძღოლმა მათი ყურადღება მიაქცია ლენინის სტატიას — „აზიის გამოღვიძება“. ჩინელებმა და ინდოელებმა ბლოკნოტები ამოიღეს და ჩაიწერეს ციტატი ამ სტატიიდან:

„რუსეთის 1905 წლის მოძრაობის შემდეგ დემოკრატიული რევოლუცია მოედო მთელ აზიას — თურქეთს, სპარსეთს, ჩინეთს. იზრდება მღელვარება ინგლისის ინდოეთში... ასეთულ მილიონობით დაბეჩავებულმა, შუასაუკუნეობრივი ჩამორჩენილობით გაველურებულმა მოსახლეობამ გაიღვიძა ახალი ცხოვრებისათვის და ადამიანის საანბანო უფლებათათვის, დემოკრატიისათვის საბრძოლველად“.

მას შემდეგ, რაც ეს სტრიქონები დაიწერა, არც თუ დიდი დრო გასულა. და აი დღეს ლენინგრადში, ვ. ი. ლენინის მუზეუმში უკვე ხვდებიან ერთმანეთს თავისუფალი ჩინეთის, დამოუკიდებელი ინდოეთისა და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები ლენინის დიად იდეათა გამარჯვების თითქოს სიმბოლოდ.

* * *

ლენინგრადში ჩამოსულებს, უცხოელებსაც კი ადვილად შეუძლიათ დღევანდელობიდან გადაეშვან ფიქრებით შორეულ წლებში, როდესაც აქ, პეტერბურგის უნივერსიტეტში, ყაზანიდან ჩამოვიდა უბრალოდ ჩაცმული ჭაბუკი — ვ. ი. ულიანოვი.

ისინი ნახულობენ ადგილებს, რომლებიც დაკავშირებულია დიდი ლენინის ცხოვრებასთან და მოღვაწეობასთან. აი კაზანი შესახვევში პატარა სახლი, სადაც 60 წელზე მეტი ხნის წინათ დასახლდა ახალგაზრდა ულიანოვი. აგერ კიდევ ლენინის ქუჩაზე შენობა, სადაც ვლადიმერ ილიას-ძე — მუშათა კლასის უკვე მომწიფებული ბელადი — გაჩერდა ემიგრაციაში მრავალი წლით ყოფნის შემდეგ რუსეთში ჩამოსვლისას 1917 წლის აპრილში. აქ ბევრია ისტორიული შენობები. ყოველივე ეს ადამიანებს ხელს უწყობს წარმოიდგინონ ჩვენი ხალხის გმირული რევოლუციური წარსული.

შეუძლებელია გვერდი აუაროთ ამ წარსულს. იგი ძალაუნებურად გიზიდავთ ლენინის გენიით შთაგონებული ამბების უდიდესი მნიშვნელობით.

ადამიანები სხვადასხვანაირად გამოხატავენ მოზღვავებულ გრძნობებს. მაგრამ მათში ერთი რამ უცვლელია—ეს არის უდიდესი მოკრძალება და პატივისცემა ლენინისადმი — კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელისადმი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები თავიანთ ბედნიერ ბედს უკავშირებენ პარტიას, ლენინს, დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. ჩეხოსლოვაკიელი ექსკურსანტების ჯგუფმა ლენინგრადში ჩამოსვლის პირველ დღესვე ინახულა ლენინის ბინა-მუზეუმი, სახლი № 17-ა საბჭოს ქუჩაზე. აქ ზედა სართულზე არის კუთხის პატარა ოთახი, სადაც მუშა ს. ი. ალილუევის ბინაში ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი რამდენიმე დღეს ემალებოდა კონტრრევოლუციურ დროებითს მთავრობას, რომელიც მას დაეძებდა. აქედან იგი ფარულად გაემგზავრა რაზლივში.

ჩეხოსლოვაკიელ მშრომელებში ბევრი გრძნობა და აზრი გააღვიძა ამ ისტორიული ადგილის ნახვამ. შთაბეჭდილებათა წიგნში მათ ჩაწერეს.

„აქ ვიყავით ჩვენთვის ღირსშესანიშნავ დღეს, როგორიც არის საბჭოთა არმიის მიერ ჩვენი სამშობლოს განთავისუფლების ათი წლისთავი. ჩვენ აქ მოგვიყვანა დიდი ლენინისადმი სიყვარულმა, მისი ცხოვრებისა და მუშაობის უფრო ახლოს გაცნობის სურვილმა. მუზეუმის დათვალიერებამ ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. ჩვენ ბედნიერი ვართ, რომ ლენინის მიერ ნაანდერძევი გზით მივდივართ სოციალიზმისაკენ“.

ლენინთან დაკავშირებული ადგილების მნახველთა შთაბეჭდილებების წიგნები — დიდი ამაღელვებელი დოკუმენტებია. ყველა ხალხის ენებზე ისინი მეტყველებენ იმის შესახებ, რომ ლენინი ცოცხლობს ყველა მშრომელის გულში.

ამ წიგნების გადაფურცვლისას შეხვდებით ინგლისელის მკაფიო ხელწერას იაპონელის ეიეროგლიფების გვერდით, ხვეულ არაბულ შრიფტს ჩინურ, ფრანგულ, შვედურ, ფინურ ენებზე ჩაწერილი სიტყვების გვერდით.

„როგორც მთელი მსოფლიოს მშრომელები, ისე ჩვენც მაგალითს ვიღებდით, ვიღებთ და კვლავაც ავიღებთ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ცხოვრებიდან და მოღვაწეობიდან, ვიცხოვრებთ და ვიმუშავებთ ისე, როგორც ლენინი გვასწავლიდა“, — ჩაუწერიათ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკიდან ჩამოსულ ექსკურსანტებს.

ასეთი ჩანაწერი მრავალ ათასობით არის.

უცხოელი სტუმრების მრავალრიცხოვანი ჩანაწერები მოწმობენ, რომ ჩვენს დღეებში ლენინური იდეები ეუფლებიან ასეულ მილიონობით ადამიანის გონებას მთელ მსოფლიოში. ამ იდეებს ისინი მიჰყავთ წინ — კაცობრიობის ნათელი მომავლისაკენ — კომუნიზმისაკენ.

ვ. იუნოშევა,
ო. კარიშევი,
„კომუნისტის“ კორესპონდენტები.
ლენინგრადი.

ფოტოგამოფენა „ინგლისის არქიტექტურა“

14 აპრილს მოსკოვში არქიტექტურის ცენტრალურ სახლში გაიხსნა ფოტოგამოფენა „ინგლისის არქიტექტურა“. აქ ექსპონირებული მრავალი ფოტოსურათი გვიჩვენებს ინგლისური ხუროთმოძღვრების სხვადასხვა ნაწარმოებს — საცხოვრებელ სახლებს, კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებს. მეტროს სადგურებს, სამრეწველო ნაგებობებს.

მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დათმობილი არქიტექტურული ძეგლების ჩვენებას. ამ განყოფილებაში ნახავთ ძველ ციხე-კოშკებს, ტაძრებს, სასახლეებს. აგებულს ინგლისის სხვადასხვა ქალაქში მრავალი ასეული წლის წინათ. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია კემბრიჯისა და ოქსფორდის უნივერსიტეტები. ოქსფორდის სტუდიების გალერეისა და ბრიტანეთის მუზეუმის შენობები, მუზეუმისა, რომლის სამკითხველო დარბაზებში მეცნიერული მუშაობას ეწეოდნენ კარლ მარქსი და ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი. აგრეთვე ნაჩვენებია სახლები, სადაც ცხოვრობდნენ მწერალი ჩარლზ დიკენსი, ბუნებისმეტყველი ჩარლზ დარვინი. მნახველი დიდხანს ჩერდებიან ფოტოსურათთან, რომელზეც ჩანს ფრაგმენტი სახლისა მემორიალური დაფით წარწერა: დაფაზე გკითხულობენ, რომ ამ სახლში 1902-1903 წლებში ცხოვრობდა მთელი მსოფლიოს მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი ვ. ი. ლენინი. მეორე მსოფლიო ომის დროს ეს სახლი დაანგრია ფაშისტების ბომბმა. (საკ-დესი).

თევზჭერის საკითხზე საბჭოთა კავშირ-იაპონიის მოლაპარაკებისათვის

როგორც ცნობილი გახდა, მ-მდინარე წლის 23 მარტს იაპონიის რწმუნებულმა საბჭოთა კავშირ-იაპონიის ლონდონის მოლაპარაკებაზე ბ-ნმა მაცუმოტომ თავისი მთავრობის დავალებით სსრ კავშირის ელჩს ინგლისში ე. ა. მალიკს გადასცა განცხადება, რომ იაპონიის მთავრობა მზად არის დაუყოვნებლივ დიიწყოს მოლაპარაკება თევზის რესურსების შენარჩუნებისა და ამ გემებისათვის დახმარების გაწევის შესახებ, რომლებიც გაჭირვებას განიცდიან ზღვაში. ბ-ნმა მაცუმოტომ თქვა, რომ, თუ საბჭოთა მთავრობა ამაზე დათანხმდება, მოლაპარაკება შეიძლება მოეწყოს ლონდონში ან მოსკოვში და მოლაპარაკების წარმოება დაეკალოთ ორივე მხარის თევზის მრეწველობის უწყებათა სპეციალისტებს.

ამასთან დაკავშირებით ი. ა. მალიკმა 9 აპრილს იაპონიის ელჩს ინგლისში ბ-ნ ნისის გაუკეთა განცხადება იაპონიის მთავრობისათვის გადასაცემად, რომ საბჭოთა მთავრობამ გულმოდგინედ განიხილა იაპონიის მთავრობის წინადადება, გადაცემული 23 მარტს, და თანხმობას გამოთქვამს დაიწყოს მოლაპარაკება აღნიშნულ საკითხებზე.

მოლაპარაკების წარმოების ადგილის შესახებ აღნიშნა, რომ საბჭოთა მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ეს მოლაპარაკება მოხდეს ტოკიოში ან მოსკოვში.

ამასთან, როგორც იაპონიის ელჩს განუცხადეს, საბჭოთა მთავრობა ითვალისწინებს იმას, რომ იაპონიის მხარესთან აღნიშნული შეთანხმების მიღწევისა და მისი ძალაში შესვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობა განიხილავს იმ ღონისძიებათა საკითხს, რომლებსაც იგი ამჟამად ახორციელებს თევზის მარაგის შენარჩუნების მიზნით.

საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს იაპონიის მთავრობისაგან პასუხის მიღების შემდეგ დანიშნოს თავისი დელეგაცია აღნიშნული მოლაპარაკების საწარმოებლად. (საკ-დესი).

სრულად გამოვიყენოთ ტექნიკა, დავიცვათ ხვნა-თესვის აგროწესები

თესვამ მოუმზადებლებს მოუსწრო

ახალი ხუთწლედის პირველი წლის გაზაფხული თავის უფლებებში შევიდა. თესვის გადამწყვეტი პერიოდი დადგა. გულრიფშის რაიონში თათბირებსა თუ კრებებზე მრავალჯერ აღუნიშნავთ საგაზაფხულო თესვის მოკლე ვადებში და აგროტექნიკის დაცვით ჩატარების საჭიროება. მაგრამ ზოგან სიტყვა და საქმე ჯერჯერობით ერთმანეთს დაშორდა. შედეგი სავალალოა.

მთელი რიგი კოლმეურნეობები და მანქანა-ტრაქტორთა სადგური სუსტად ემზადებიან საგაზაფხულო თესვისათვის. ჩამორჩა ერთწლიანი კულტურებისათვის ნიადაგის პირველი ხვნა.

მართალია, გულრიფშის მტს-მა (დირექტორი ს. თავდიშვილი) ვადამდე შეასრულა ტრაქტორების რემონტის გეგმა, მაგრამ შემდეგ თვითკმაყოფილებას მიეცა, ნელი-ტემპით აწარმოებს ნიადაგის ხვნას, უამირის ათვისებას.

15 აპრილისათვის რაიონში საგაზაფხულოდ მოხნული იყო 2.135 ჰექტარი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6.889 ჰექტარისა.

საგაზაფხულო ხვნა გააჭიანურეს სოფელ მერხეულის რუსთაველის სახელობის კოლმეურნეობაში, გულრიფშის კოლმეურნეობა „პობედაში“. ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც ამავე სოფლის ლენინის სახელობის, მაჭარის მიასნიკოვის სახელობის, დრანდის ლესელიძის სახელობის კოლმეურნეობებშია. აღსანიშნავია, რომ ამ სასოფლო-სამეურნეო არტელებში მუშა პირუტყვი საკვებით ვერ უზრუნველყვეს და არც კი ფიქრობენ მის გადაყვანას გაძლიერებულ კვებაზე, რათა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებზე გამოიყენონ.

მინდვრის სამუშაოთა ამ გაცხოველებულ დღეებში არის ტექნიკის გაცდენის, ტრაქტორების სრული დატვირთვით გამოუყენებლობის შემთხვევები. მეორე სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი ხ. დეპელიანი) „დტ-54“ მარკის ტრაქტორი ორ დღეს არ მუშაობდა სოფელ დრანდის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტის თანშეწყრა ო. ბოჯგუას მიზეზით, ხოლო იმავე მარკის ტრაქტორი, რომელსაც გ. მარკოსიანი მართავს, ერთ დღეს გაცდა საწვავის უქონლობის გამო. პირველი სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი გ. ჩალიგავა) „დტ-54“ მარკის ტრაქტორი (ტრაქტორისტი ზ. ნერსესიანი) სოფელ დრანდის კოლმეურნეობა „ახალი სოფლის“ ტერიტორიაზე 6 დღეს მოცდა ნიადაგის ჭარბტენიანობის გამო, მაშინ როცა ამ სასოფლო-სამეურნეო არტელის სხვა ბრიგადებში თავისუფლად შეიძლებოდა ხვნა. ასეთივე მიზეზით 10 დღეს მოაცდინეს ტრაქტორი სოფელ ვლადიმეროვკის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ყოველივე ამასთან ერთად ხვნაზე არღვევენ აგროტექნიკის წესებსაც. ნესიმე სატრაქტორო ბრიგადის (ხელმძღვანელი ფ. დიდენკო) ტრაქტორისტმა ფ. კარპაიანმა სოფელ დრანდის კოლმეურნეობაში „კომუნიზმისაკენ“ ათი ჰექტარი უხარისხოდ მოხნა. ასევე მხოლოდ ჰექტარებს გამოედევნა ტრაქტორისტი ი. ეფიმოვი სოფელ მერხეულის ბარათაშვილის სახელობის კოლმეურნეობაში. დრანდის კოლმეურნეობაში „კომუნიზმისაკენ“ ტრაქტორი, რომელსაც ო. თოდუა მართავს, ხშირად გამოდის მწყობრიდან ცუდი რემონტის გამო.

იარაღ-მანქანების ცუდად შეკეთებით აიხსნება ისიც, რომ მისაბმელი გუთნების უმრავლესობას არა აქვს ავტომატური ამწე, არის მექანიზატორთა კადრების არადანიშნულებისამებრ გამოყენების შემთხვევები. გუთნის მიმბმელებს მეტ წილ შემთხვევებში შემცვლელ ტრაქტორისტებად იყენებენ.

თესვა კარზე მოგვადგა, მაგრამ გულრიფშის მტს-ის დირექციას და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელებს ჯერჯერობით არ უფიქრიათ მთესველთა და მიმბმელთა კადრების მომზადებისათვის.

ცნობილია ჯიშიანი, მაღალხარისხოვანი თესლის მნიშვნელობა მოსავლიანობის გადიდებისათვის. მაგრამ იმის გამო, რომ გულრიფშის მტს-ისა და კოლმეურნეობათა ხელმძღვანელობა ჯეროვან ყურადღებას არ აქცევს ამ საქმეს, რაიონის ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო არტელს აქამდე არა აქვს სოიისა და ლობიოს თესლი.

ზოგან არა ჩანს სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა მახვილი თვალი და ორგანიზატორული ხელი. ამით სარგებლობენ ცალკეული პირები და უხეშად ირღვევენ აგროტექნიკურ წესებს. მაშინ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ 3 აპრილს სოფელ დრანდის კოლმეურნეობაში „კომუნიზმისაკენ“ (თავმჯდომარე გ. ცქვიტაია, აგრონომი ი. კამკია) ტრაქტორისტი გ. მარკოსიანი პროგრესული წესით დასათესად მიჩენილ 20 ჰექტარ ფართობს სიმინდის ღეროებისაგან გაუწმენდავს ხნავდა.

ბევრად უკეთესი მდგომარეობა არც სოფელ გულრიფშის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაშია. აქ დაბალია შრომის დისციპლინა, ნაკლები ყურადღება ექცევა მოწინავეთა გამოცდილების ფართოდ დანერგვას, ჩაშლილია საგიტაციო-მასობრივი მუშაობა.

კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია (მდივანი ი. ხვითარია) სათავეში არ უდგას და სუსტად ხელმძღვანელობს სოციალისტურ შეჯიბრებას, არ აქცევს ჯეროვან ყურადღებას მასებში ორგანიზატორულ მუშაობას.

კოლმეურნეობაში რომ ასეთი მდგომარეობაა, ეს კარგად იციან პარტიის რაიკომის ინსტრუქტორმა მტს-ის ზონაში ამხ. ვ. შევჩენკომ და რაიკომის ხელმძღვანელობამ, მაგრამ მდგომარეობის გამოსასწორებლად გადამჭრელ ზომებს არ იღებენ.

ზემოაღნიშნული ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ გულრიფშის რაიონში ნაკლებად ფიქრობენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის. ჩანს, აქ მეტ დროს ანდომებენ სასხდომო ფუსფუსს და პარადულ დაპირებებს.

ი. გოგეჩია,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

მანქანები უმოქმედოდ დგანან

ხანგრძლივმა ზამთარმა საგრძნობლად შეამცირა თესვის ვადები. ამას კარგად ითვალისწინებენ მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებიც დღითიდღე აძლიერებენ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა ტემპს. დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ა. ხიდაშელი) საგაზაფხულოდ უკვე დათესა 190 ჰექტარი. წარმატებით მიმდინარეობს ვენახის სამუშაოები. სოფელ სარაჩლოს ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი ხანია შეასრულეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების თესვის გეგმა, ხოლო 6 აპრილისათვის დაამთავრეს კარტოფილის რგვა.

მაგრამ ბევრ კოლმეურნეობაში ხვნა-თესვა ჩამორჩება. მაგალითად, თამარისის მტს-ის ზონის სოფელ არახლოს კოლმეურნეობა „კომუნიზმში“, სადაც წელს 30 ჰექტარზე უნდა დარგონ კარტოფილი, ეს სამუშაო დღემდე გააჭიანურეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თამარისის მტს-ს შეეძლო მთლიანად შეესრულებინა კარტოფილის მანქანით რგვის გეგმა კოლმეურნეობაში, ამ უკანასკნელს სარგავი მასალა რომ ჰყოფნიდეს.

კოლმეურნეობაში რგვა წარმოებს შარშანდელ ნაკარტოფილარ ფართობზე, რომელშიც დიდი რაოდენობით არის დარჩენილი ძველი ტუბერები, რომლებიც აღმოცენების შემდეგ არ მოგვცემენ კვადრატებს. ეს შემდეგში ხელს შეუშლის ნათესის ორი მიმართულებით დამუშავებას.

მიუხედავად იმისა, რომ მტს-ს კვადრატულ-ბუდობრივად სარგავი ხუთი მანქანა აქვს, ზოგიერთ კოლმეურნეობაში კარტოფილს კვადრატულ-ბუდობრივად ხელით რგავენ. იმის გამო, რომ მტს-მა სოფელ ტაბტიკულარის ყდანოვის სახელობის კოლმეურნეობას კარტოფილი მანქანით არ დაურგო, ეს სამუშაო ხელით შეასრულეს. კოლმეურნეობაში მტს-ის ხუთი ტრაქტორი მუშაობს, მაგრამ აქ ხშირია ტექნიკის გაცდენა. გაცდენებს ვხვდებით იმ სატრაქტორო ბრიგადაში, რომელსაც ჰ. ყურბანოვი ხელმძღვანელობს. 5 აპრილს ბრიგადაში არც ერთი ტრაქტორი არ მუშაობდა. ყურბანოვმა უამინდობა მოიმიზეზა. მაგრამ ეს მას არ ამართლებს, რადგან შუადღის შემდეგ ხვნა-თესვა შეიძლებოდა. მტს-ს არა აქვს ტრაქტორებისა და სხვა მანქანების სათადარიგო ნაწილები.

საგაზაფხულო სამუშაოების შესრულებაში კიდევ უფრო ცუდი მდგომარეობაა ბოლნისის მტს-ის ზონაში, სადაც დიდად ჩამორჩა საგაზაფხულო ხვნა და კარტოფილის რგვა. ამ მტს-ის ზონის კოლმეურნეობებშიც კარტოფილს ხელით რგავენ, ეს მაშინ როცა მტს-ში კარტოფილის კვადრატულ-ბუდობრივად სარგავი მანქანები უმოქმედოდ დგანან.

მომდინარე წლის უხვი მოსავლის მიღების ინტერესები მოითხოვს დადგენილ დავაჩქაროთ თესვა, არ შევურიგდეთ აგროტექნიკის დარღვევებს.

რ. დავითური,
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.



გაგრის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები.
ფოტო პ. ლუცენკოსი.

საჩუქარი ქალაქ მოლოტოვის უნივერსიტეტს

სოხუმი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სოხუმის ბოტანიკურ ბაღს აქვს სუბტროპიკული ხეებისა და ბუჩქების, ყვავილოვანი დეკორაციული მცენარეების მდიდარი კოლექცია.

ამის გამო მას შესაძლებლობა აქვს სისტემატურად გაუწიოს დახმარება სსრ კავშირის ბევრ ბოტანიკურ ბაღს ძვირფასი მცენარეებით მათი გამდიდრების საქმეში.

მომდინარე წლის მარტში სოხუმის ბოტანიკურმა ბაღმა 250 სახეობის 350 ეგზემპლარი იშვიათი დეკორაციული მცენარე, აგრეთვე დიდძალი თესლი გაუგზავნა ქ. მოლოტოვის ა. მ. გორკის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკურ ბაღს. ეს ხელს შეუწყობს მცენარეთა აკლიმატიზაციას, აგრეთვე უმაღლეს და საშუალო სკოლებში ბიოლოგიური საგნების სწავლების საქმეს.

ამას წინათ სოხუმის ბოტანიკური ბაღის კოლექტივმა მიიღო ქალაქ მოლოტოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბოტანიკური ბაღის დირექტორის ნ. კოლმოგოროვას წერილი, სადაც ის უნივერსიტეტის ბიოლოგიის კათედრის მეცნიერი მუშაკებისა და ბოტანიკური ბაღის თანამშრომელთა სახელით სოხუმელებს მადლობას უძღვნის ძვირფასი თესლეულითა და სუბტროპიკული მცენარეებით სამეცნიერო დაწესებულებათა შევსებისათვის.

ხალხთა მეგობრობისადმი მიძღვნილი გამოფენა

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო ბიბლიოთეკამ მოაწყო გამოფენა, მიძღვნილი დიდი რუსი ხალხის და ქართველი ხალხის მეგობრობისადმი. თორმეტ სტენდზე წარმოდგენილია წიგნები, ბროშურები, სურათები, ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ნათლად ასახავენ რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის ისტორიულ ფესვებს, ქართველი ხალხისადმი რუსი ხალხის უანგარო დახმარებას თვითმყრობელობის უღლის მუშორებისა და რესპუბლიკის ეკონომიკისა და კულტურის აყვავების საქმეში.

ცალკეა წარმოდგენილი მასალები თემებზე: „რუსი ხალხის შვილები საქართველოში“, „რუსი პოეტები საქართველოს შესახებ“.

გამოფენას დიდი ინტერესით ათვალიერებენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

ნახევარი საუკუნე სცენაზე

ქართულ საბჭოთა თეატრს მთელი რიგი თავდადებული და უანგარო მუშაკები ჰყავს. ერთ-ერთი ასეთი შემოქმედი ქართული სცენის ძველი მოღვაწე სოკრატ სულთანიშვილი.

1904 წელს 15 წლის ახალგაზრდა ს. სულთანიშვილმა შემოქმედებითი მუშაობა დაიწყო ავლაბრის სახალხო თეატრში როგორც სცენისმოყვარემ, ხოლო შრომითი საქმიანობა შეგირდად თბილისის ერთ-ერთ მექანიკურ ქარხანაში.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ს. სულთანიშვილი მუშაობდა მსახიობად და რეჟისორად კავშირგაბმულობის კლუბში. ამ კლუბში (სადაც ახლა მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრია) 1924 წელს მას გაუმართეს სასცენო მოღვაწეობის 20 წლისთავის აღსანიშნავი საღამო. ს. სულთანიშვილი დიდხანს მუშაობდა მოძრავ სასოფლო თეატრებში, რაიონულ კულტურის სახლებში, აგრეთვე პროფესიულ სცენაზე — მუსიკალური კომედიისა და თოჯინების ქართულ თეატრებში. სასცენო მოღვაწეობის 50 წლის მანძილზე მას შესრულებული აქვს 200-მდე როლი.

ამ დღეებში საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ და სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა კავშირის კლუბის გამგეობამ ამავე კლუბში გამართეს ს. სულთანიშვილის სასცენო მოღვაწეობის 50 წლისთავის აღსანიშნავი საღამო.

სტალინური პრემიის ლაურეატის პოეტ ი. გრიშაშვილის შესავალი სიტყვის შემდეგ, მოხსენება წაიკითხა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ბუხნიკაშვილმა.

ს. სულთანიშვილს მიესალმნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტები ვ. ნინოძე და გ. დარისპანაშვილი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გ. მიქელაძე, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი გ. ჯაბაური, მწერალი-დრამატურგი ხ. ავჩიანი, ძველი სცენისმოღვაწეები ე. კულულაშვილი და დ. მელაშვილი, მუშა პოეტი გ. ხეჩოაშვილი, კავშირგაბმულობის პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის სახელით გ. მელიავა.

დასასრულ გაიმართა კონცერტი ს. სულთანიშვილის, რუსთაველის სახელობის თეატრისა და ფილარმონიის მსახიობთა და კლუბთან არსებული თვითმოქმედი ქორეოგრაფიული კოლექტივის მონაწილეობით.

გ. აბესაძე.

წერილი რედაქციას

ჭიათურაში უნდა დაარსდეს სამთო ტექნიკუმი

ჩვენი მეტალურგიული მრეწველობა მარგანეცს მზარდი რაოდენობით მოითხოვს. დიდძალი მარგანეცი იგზავნება სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში. ცნობილია, რომ მეექვსე ხუთწლედში მარგანეცის სასაქონლო მადნის დამზადება 1,5-ჯერ უნდა გაიზარდოს. ამ ამოცანის წარმატებით შესასრულებლად აუცილებელია მაღალკვალიფიციური კადრები. ამის გამო დგება საკითხი ჭიათურაში სამთო ტექნიკუმის დაარსების შესახებ.

ჭიათურაში სამთო ტექნიკუმის დაარსების საჭიროება გამოწვეულია მეორე გარემოებითაც. ამჟამად მარტო ჭიათურასა და მის რაიონში 15 საშუალო სკოლაა. ბევრი მოსწავლე ამთავრებს სკოლას. ბუნებრივია, რომ ყველა ვერ მოხვდება უმაღლეს სასწავლებელში.

სამთო ტექნიკუმის დაარსების შემთხვევაში ახალგაზრდას საშუალება მიეცემა ადგილობრივ მიიღოს სპეციალური ტექნიკური განათლება, შეისწავლოს სამთო საქმე.

სამთო ტექნიკუმის დაარსება ჭიათურაში საჭირო საქმეა.

დ. გაბუნია,
მარგანეცის ტრესტის შრომის ორგანიზაციის განყოფილების უფროსი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჩამორჩენას ურიგდებიან“

„კომუნისტის“ 23 მარტის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო ასპინძის რაიონის ზოგიერთ კოლმეურნეობაში საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ჩამორჩენის ფაქტები.

საქართველოს კომპარტიის ასპინძის რაიკომმა გაზეთ „კომუნისტის“ კრიტიკა სწორად ცნო და მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. რაიკომის ბიურომ სოფლების ხიზაბავრის, ტოლოშისა და ნაკალაქევის კოლმეურნეობათა გამგეობების თავმჯდომარეებს ამხ. მიქელაძეს, მელიქიძეს და ზაზაძეს, რომელებმაც დროულად არ მიიღეს ზომები ქერის, სიმინდისა და სხვა კულტურების თესლის შესაძენად, დაადო პარტიული სასჯელი. ბიურომ გააფრთხილა აგრეთვე სოფელ ორგორისა და სოფელ თოკის კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. რაიონის ყველა საკოლმეურნეო პარტიულ ორგანიზაციები მოიწოდა პარტიული კრებები, რომლებზეც განიხილეს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების საკითხები, ფართოდ გაიშალა საგიტაციო-მასობრივი მუშაობა თესვის აგროტექნიკურ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარების უზრუნველსაყოფად.

ნიღებული ზომების შედეგად წერილში აღნიშნულ კოლმეურნეობათა გამგეობებმა უზრუნველყვეს საკმაო თესლის შეძენა და კონდიციამდე აყვანა, აგრეთვე მინდვრად ორგანული სასუქის გატანა და მინერალური სასუქის შემოზიდვა.

ეს გაკეთდეგა მეექვსე ხუთწლედში

სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ქსელის გაფართოება

ვ. ი. ლენინის ფორმულამ, რომ „კომუნიზმი არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია“, მკაფიო გამოსახულება ჰპოვა პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ყრილობის დირექტივებში გარკვევით არის მითითებული იმის საჭიროება, რომ „უზრუნველყოფილ იქნას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ელექტროენერგიის ფართოდ გამოყენება, რისთვისაც სახელმწიფო ელექტროსადგურების ქსელებთან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების შეერთებასთან ერთად მოეწყოს სარაიონთაშორისო და რაიონული თბოელექტროსადგურებისა და ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წილობრივი მონაწილეობით. ხუთწლედის განმავლობაში გაორკეცდეს რიცხვი ელექტროფიცირებული კოლმეურნეობებისა, რომლებიც ელექტროენერგიას მუდმივი წყაროებიდან იღებენ, და დამთავრდეს საბჭოთა მეურნეობების და მტს-ების ელექტროფიკაცია“...

ელექტროფიცირებული მეურნეობების გამოცდილება ცხადყოფს, რომ ელექტროფიკაცია საშუალებას გვაძლევს გარდავქმნათ მეურნეობის ყველა დარგის მუშაობა უახლესი ტექნიკის ბაზაზე, განვახორციელოთ შრომატევადი პროცესების მექანიზაცია და ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება.

ლაჯანურჰესის, გუმათჰესების, ტყიბულჰესის, მეორე ხრამჰესის ამუშავებით, აგრეთვე დარიალჰესის და რიონზე კიდევ ერთი მძლავრი ჰიდროელექტროსადგურის საექსპლოატაციოდ გადაცემის შედეგად ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობას უხვად ექნება ელექტროენერგია.

დიდი სამუშაოების შესრულება მოუხდებათ ენერგეტიკოსებს საქართველოს სოფლებშიც. ჩვენი მიზანია მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს სოფლის ელექტროფიკაცია განვავითაროთ ისე, რომ ჩვენმა რესპუბლიკამ საბჭოთა კავშირში ერთ-ერთი მოწინავე ადგილი დაიკავოს.

ამჟამად საქართველოში მუშაობს 234 სასოფლო და საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 33 ათას კილოვატამდე აღწევს. მაგრამ ამავე დროს სოფლის მეურნეობის საელექტროფიკაციოდ ჯერ კიდევ დიდი, შეიძლება ითქვას, უამრავი ჰიდროენერგეტიკული რესურსები გვაქვს, მაშასადამე, გვაქვს იმის ფართო შესაძლებლობა, რომ მოკლე პერიოდში განვახორციელოთ საქართველოს სოფლის მეურნეობის მთლიანი ელექტროფიკაცია.

ამჟამად რესპუბლიკაში ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვი 42 პროცენტს აღწევს, მტს-ების ელექტროფიკაცია განხორციელებულია 98 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებისა — 89 პროცენტით. ყოველწლიურად იზრდება ელექტროენერგიის გამოყენება მეცხოველეობის, მემცენარეობისა და დამხმარე საკოლმეურნეო საწარმოების შრომატევადი პროცესების მექანიზაციისათვის. მიმდინარე წლის დასაწყისში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში საწარმოო პროცესების ელექტროფიცირებისათვის მუშაობდა 3.000-ზე მეტი ელექტრომოტორი, რამდენიმე ათასი კოლმეურნის საცხოვრებელი სახლი გაჩირაღდნებულია ილიჩის ნათურებით.

რა კეთდება და რა უნდა გაკეთდეს საქართველოს სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაციის შემდგომი გაფართოებისათვის მეექვსე ხუთწლედში? ამჟამად შენდება 2.000 კილოვატი სიმძლავრის კახარეთჰესი (ადიგენის რაიონში), რომელიც სავსებით დაკმაყოფილებს ადგილობრივი კოლმეურნეობების მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე. თითქმის ასეთივე სიმძლავრის საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური — ჯირხვაჰესი შენდება გაგრის რაიონში. ამჟამად უკვე გაგრის რაიონში მომუშავე საკოლმეურნეო ჰიდროელექტროსადგურებთან ერთად ჯირხვაჰესი, რომელიც 1957 წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ, სავსებით უზრუნველყოფს იაფი ელექტროენერგიით რაიონის კოლმეურნეობებს და საბჭოთა მეურნეობებს.

მცხეთის რაიონში სოფელ მისაქციელთან მუხრანის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ბაზაზე შენდება ახალი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური მისაქციელჰესი, რომელიც მომავალ წელს უნდა გადაეცეს საექსპლოატაციოდ. ეს სადგური ელექტროენერგიით უზრუნველყოფს 35 კოლმეურნეობას.

მეექვსე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი რესპუბლიკის შორი რაიონების ელექტროფიკაციის დაჩქარებას. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ღონისძიებები, რაც დასახულია ამბროლაურის, ონისა და ცაგერის რაიონების ელექტროფიკაციის ტემპის დასაჩქარებლად.

პირველ რიგში გადაწყვეტილია საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურის — რიცეულჰესის გაფართოება, მისი სიმძლავრის ერთიათად გადიდება. რიცეულჰესის ენერგიაზე მარტო ადგილობრივი — ამბროლაურის რაიონის კოლმეურნეობები ისეთ მოთხოვნილებას აყენებენ, რომ სადგურის არსებული სიმძლავრით მისი დაკმაყოფილება ჭირს. მეექვსე ხუთწლედში რიცეულჰესის გაფართოება უნდა დამთავრდეს, მისი სიმძლავრე იმ დონემდე გაიზარდოს, რომ დაკმაყოფილოს არა მარტო ამბროლაურის რაიონის, არამედ ონის და ნაწილობრივ ცაგერის რაიონების სოფლის მეურნეობის მოთხოვნილებაც.

გადაწყვეტილია აგრეთვე აბაშის სასოფლო (აბჰესი) და დაშბაშჰესის (წალკის რაიონი) საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების რეკონსტრუქცია მათი გაფართოების მიზნით.

დაწყებულია და უახლოეს წლებში ამუშავდება ლენტეხჰესი, რომელიც იაფ ელექტროენერგიას მიაწვდის ლენტეხის რაიონის კოლმეურნეობებს.

წელს დამთავრდება და საექსპლოატაციოდ გადაეცემა ახალი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური — მაჭახელაჰესი ბათუმის რაიონში. ეს სადგური ელექტროენერგიით დაკმაყოფილებს რაიონის 17 კოლმეურნეობის მოთხოვნილებას. წარმატებით მიმდინარეობს ფალენჯიხის რაიონში მდ. სკურზე ახალი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა, რაც მომავალ წელს უნდა დამთავრდეს. სკურიჰესის ამუშავებით შეიქმნება მტკიცე ენერგეტიკული ბაზა ამ რაიონის ელექტროფიკაციის განსახორციელებლად. დაწყებულია და მომავალ წელს უნდა დამთავრდეს აჩისწყალზე ახალი ჰიდროელექტროსადგურის აგება (ქობულეთის რაიონში).

ყველაზე საინტერესო ობიექტია ჩხოროწყუს ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა. იგი შენდება მდინარე ხობისწყალზე ჩხოროწყუს ახლოს. ჩხოროწყუჰესი ყველაზე დიდი და მძლავრი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური იქნება. იგი მთლიანად დაკმაყოფილებს ჩხოროწყუს და ზუგდიდის რაიონების კოლმეურნეობებს. მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების, ჩაის ფაბრიკების მოთხოვნილებას ელექტროენერგიაზე.

1958 წლიდან საქართველოს სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების ქსელს შეემატება კიდევ ერთი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური — რეჩხაცხრისჰესი, რომელიც გალის რაიონში შენდება.

ამჟამად მიმდინარეობს მუშაობა საპროექტო-სახარაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის გამზადებაზე ახალი საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგურების ასაგებად ვანათის არხზე (სტალინირის ახლოს), ალაზნის არხზე — მეორე ალაზანჰესისა და ხირსაჰესის მშენებლობის დასაწყებად.

გარდა ახალი ჰიდროელექტროსადგურების აგებისა, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ელექტროენერგიის გადამცემი ხაზების მშენებლობას კახეთის რაიონებში. მაგალითად, თელავისა და ახმეტის რაიონების კოლმეურნეობების, აგრეთვე ახმეტის სტაყეო-სამრეწველო მეურნეობისათვის იაფი ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით გადაწყვეტილია ბოჭორმა-ახმეტის გადამცემი ხაზის გაყვანა და ახმეტაში რაიონული ელექტრქვესადგურის აგება. ნავთლუღიდან გურჯაანამდე გათვალისწინებულია მეორე ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანა და გურჯაანის რაიონში სათანადო სიმძლავრის ქვესადგურის აგება. ამრიგად, კახეთის რაიონების სასოფლო ელექტროსისტემა შეერთებული იქნება რესპუბლიკურ ენერგეტიკულ სისტემასთან, რაც დიდად გააადვილებს კახეთის რაიონების ელექტროფიკაციის განხორციელებას.

ყველა ამ ღონისძიებათა შედეგად მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოს სასოფლო ჰიდროელექტროსადგურების სიმძლავრე 1.85-ჯერ გაიზრდება, ხოლო მათი გამომუშავება ორჯერ მეტი იქნება, ვიდრე 1955 წლის ბოლოსათვის იყო.

დიდი ღონისძიებებია გათვალისწინებული სახელმწიფო ენერგეტიკული სისტემის — საქენერგოს ქსელის გამოსაყენებლად სოფლის ელექტროფიკაციისათვის. წელს საექსპლოატაციოდ უნდა გადასცენ ელექტროგადამცემი ხაზი სიონიდან თიანეთამდე, ხოლო შემდგომ წლებში გაიყვანონ ახალი გადამცემი ხაზები ახალქალაქის, ბოგდანოვკის, ასპინძის, შუახევის, ქედის და ხულოს რაიონების კოლმეურნეობებისათვის ელექტროენერგიის მისაწოდებლად. ასევე მოეწყობა საქენერგოს სისტემიდან ელექტროენერგიის გადაცემა აბაშის, სარხერის, ონის, მაიაკოვსკის, წოიელწყაროს, ზნაურისა და მარნეულის რაიონების კოლმეურნეობებისათვის, რისთვისაც გამოყენებულ იქნება ამჟამად მოქმედი განმანაწილებელი ქსელი.

მეექვსე ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება აქვს დათმობილი სასოფლო ელექტროსადგურების მუშაობაში ავტომატიზაციისა და ელექტრომექანიზაციის დანერგვას. ავტომატური აპარატურითა და ტელემექანიზმებით აღჭურვილი იქნებიან ხუთას კილოვატზე მეტი სიმძლავრის ყველა საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური, აგრეთვე რაონული ქვესადგურები, რაც შესაძლებელს გახდის მნიშვნელოვნად შევამციროთ მომსახურე პერსონალის რაოდენობა, შევამციროთ აგრეთვე ელექტროენერგიის თვითღირებულება.

ამრიგად, მეექვსე ხუთწლედის ბოლოსათვის საქართველოში ელექტროფიცირებულ კოლმეურნეობათა რიცხვი ორჯერ იქნება გადიდებული, მთლიანად დამთავრდება მინქანა-ტრაქტორთა სადგურების ელექტროფიკაცია და შეიქმნება იმის შესაძლებლობა, რომ გავაფართოოთ ელექტროენერგიის გამოყენების მასშტაბები სასოფლო წარმოების სხვადასხვა პროცესების შესასრულებლად.

სოფლის ელექტროფიკაციის სწრაფი განვითარებისათვის საქართველოში დიდი შესაძლებლობები გვაქვს. ამ შესაძლებლობათა სრულად გამოყენებისათვის საჭიროა სოფლის ელექტროფიკაციის სამუშაოთა შესრულებაში მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ეს უზრუნველყოფს დასახული პროგრამის წარმატებით შესრულებას, რაც ჩვენი სოფლის მეურნეობის მძლავრი აღმავლობის მტკიცე საწინდარი იქნება.

ვ. მეტრეველი.
საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასოფლო ელექტროსადგურების სამმართველოს უფროსი.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში

პოლონეთი



სახალხო ხელისუფლების წლებში დიდი ცვლილებები მოხდა პოლონეთის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრებაში. აშენდა მრავალი ახალი ქარხანა, ეწესლოატაციაში შევიდა ახალი შახტები, აშენდა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი სახლები, მწყობრში ჩადგა მეტალურგიული და მანქანათმშენებელი მრეწველობის ახალი ქარხნები, მრავალი კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების შენობა.

ამჟამად პოლონეთი წელიწადში 4,5 მილიონ ტონა ფოლადს, 94,5 მილიონ ტონა ქვანახშირს, 17,6 მილიარდ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, თითქმის 4 მილიონ ტონა ცემენტს აწარმოებს.

ი. ბ. სტალინის სახელობის პოზნანის კომბინატი მანქანათმშენებლობის უდიდესი საწარმოა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაში. იგი უშვებს ორთქლმავლებს, კომფორტაბელურ სამგზავრო ვაგონებს, აგრეთვე სხვადასხვა ჩარხებს და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს. კომბინატის ხიმაყიდ ითვლება ჩარხმშენებელი ქარხანა. ქარხანა უშვებს სხვადასხვა ტიპის ლითონდამამუშავებელ ჩარხებს, მათ შორის რევოლვერულ, სახვრეტ-საფრეზერო და სახარატო ჩარხებს.

სურათზე: ზეინკალი-ამწყობი იან პილარჩიკი ამონტაჟებს მაღალი წარმადობის რევოლვერულ ჩარხს PB-80-ს.

ფოტო კონდრაციკისა.

პოლონეთის ცენტრალური ფოტოსააგენტო.

• • •

ჩინეთი

უხანის მეტალურგიული კომბინატი, რომლის მშენებლობა გათვალისწინებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პირველი ხუთწლიანი გეგმით, ცენტრალური ჩინეთის ერთ-ერთი უდიდესი მეტალურგიული ბაზა იქნება.

როგორც გაზეთი „უენმინიუბაო“ იუწყება, მომავალი კომბინატის ადგილზე ახლა მზადდება საძირკვლის ჩაყრა. აგებულია ბეტონის ქარხნის მთავარი კორპუსი, ავტობაზა, ხიდამმუშავებელი და არმატურის ქარხნები. გაჭედავთ ელექტრობაზები, აგებენ წყალსადენს და გაჭედავთ გზატკეცილი. გაყვანილია ახალი რკინიგზის შტო. აშენებულია მუშათა და მოსამსახურეთა პირველი სახლები.

უხანის მეტალურგიული კომბინატის მშენებლებმა ვალდებულება იკისრეს 11 თვეში შეასრულონ მომდინარე წლის დავალება და მიაღწიონ სამუშაოთა თვითღირებულების მნიშვნელოვნად შემცირებას. (საკდესი).

ინდოეთის გაზეთი ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის მომავალი ვიზიტის შესახებ ინგლისში

დელი, 13 აპრილი. (საკდესი). გაზეთი „ინდიან ექსპრესი“ მოწინავე სტატიაში წერს: „ბულგანინისა და ხრუშჩოვის ვიზიტი ინგლისში ჩვეულებრივი საქმე როდია. იგი ისეთი მოვლენაა, რომლის იმედიც ბევრს არ ექნებოდა ომამდე“.

კომენტარს უკეთებს რა ნ. ა. ბულგანინის პასუხს გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტისადმი, „ინდიან ექსპრესი“ წერს:

„პირადი კონტაქტების მნიშვნელობის რწმენის დადასტურებას უნდა მივესალმოთ... ინგლისის მთავრობამ უნდა გადაწყვიტოს, თუ რამდენად მზად არის დაამყაროს გულითადი ურთიერთობა სსრ კავშირთან საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებისათვის.

რუსი ხელმძღვანელები კეთილგონიერნი ჩანან, როცა აცხადებენ, რომ მზად არიან მნიშვნელოვნად გაფართოონ ინგლის-საბჭოთა კავშირის ვაჭრობა და რომ არა სურთ განიხილონ საკითხები, რომლებიც ზიანს მიაყენებდნენ რომელიმე სხვა ქვეყანას, რომელიც არ მონაწილეობს მოლაპარაკებაში, რომ სურთ მიაღწიონ ურთიერთგაგებასა და თვალსაზრისებისა და პოზიციების დაახლოებას თანამშრომლობის საფუძვლის გაფართოებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მიზნით.

ორივე ქვეყნისათვის საერთო ამ მიზნების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეპვები აღმოიფხვრება და მეგობრული კავშირურთიერთობა განმტკიცდება ისეთი სულისკვეთებით, როგორიც გათვალისწინებული იყო ჟენევაში“.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის სესია

ჟენევა, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის მეთერთმეტე სესიამ დილისა და დღის სხდომებზე განიხილა რეზოლუციების სამი პროექტი, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა, სახელდობრ: ევროპის ეკონომიური კომისიის ფარგლებში მომზადდეს სრულიად ევროპის შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ; შემუშავდეს რეკომენდაციები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქმიანი კონტაქტების განსავითარებლად; ევროპის ეკონომიური კომისიის ფარგლებში შეიქმნას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა ორგანო.

რეზოლუციის პირველ პროექტში ნათქვამია, რომ ევროპის ეკონომიური კომისია, ხელმძღვანელობს რა იმით, რომ საჭიროა ხელი შეეწყოს ევროპის ქვეყნების ეკონომიურ განვითარებას და თანამშრომლობის გაფართოებას ურთიერთსასარგებლო საფუძველზე და აღიარებს რა ამასთან დაკავშირებით ევროპის ყველა ქვეყნას შორის ეკონომიური ურთიერთობის ნორმალიზაციის, გაძლიერების. სტაბილიზაციისა და ჰარმონიზაციის დიდ მნიშვნელობას, ადგენს — შემუშავდეს სრულიად ევროპის შეთანხმების პროექტი კომისიის მუშაობაში მონაწილე ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ; მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ შეთანხმების პროექტმა მხედველობაში მიიღოს კომისიის მუშაობაში მონაწილე ქვეყნებს შორის ეკონომიური საკითხებზე არსებული სხვადასხვა ორმხრივი შეთანხმების სათანადო დებულებანი და, კერძოდ, მოიცავდეს ისეთ დარგებს, როგორიც არის: ვაჭრობა და საერთაშორისო გადასახდელები, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, კრედიტი და საბანკო საქმე, დაზღვევა, ნაოსნობა და ასე შემდეგ; თანამშრომლობა ბუნებრივი რესურსების ერთობლივ გამოყენებაში, გაფართოება მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობისა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა მეცნიერების, ტექნიკის, ატომის ენერგიის წარმოებისა და მშვიდობიანი მიზნით მისი გამოყენების დარგში; კონსულტაციები იმ ეკონომიური და სავაჭრო საკითხების მოსაწესრიგებლად, რომლებიც დამატებით გადაწყვეტილებებს მოითხოვენ.

რეზოლუციის მეორე პროექტში ნათქვამია: ითვალისწინებს რა, რომ ურთიერთნდობის შემდგომი განმტკიცება და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარება შეუსაბამება ევროპის სახელმწიფოთა ინტერესებს, ევროპის ეკონომიური კომისია ავალებს თავის სხვადასხვა კომიტეტებს თავიანთ მუშაობაში სპეციალური ყურადღება მიაქციონ იმ საკითხებს, რომლებიც ეხება ტექნიკური, მეცნიერული და საქმიანი კონტაქტების განვითარებას, და ამასთან დაკავშირებით შეიმუშაონ პრაქტიკული ღონისძიებანი შემდეგ საკითხებზე: სპეციალისტთა ურთიერთ გამგზავრების პრაქტიკის გაფართოება მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობისა და ვაჭრობის დარგში; მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციისა და ტექნიკური ლიტერატურის გაცვლის გაძლიერება; მეცნიერთა, სპეციალისტთა საერთაშორისო თათბირებისა და კონგრესების მოწვევა ტექნიკის დარგში და სხვა დარგებში მეცნიერების, ტექნიკისა და წარმოების ყველაზე აქტუალური საკითხების განსახილველად; თანამშრომლობა გმგზავრებისა და ურთიერთობის სხვა ფორმების მოწყობაში, აგრეთვე საქმიანი წრეების წარმომადგენელთა თათბირის მოწვევა ვაჭრობას პრობლემების განსახილველად; მეცნიერების, მასწავლებლებისა და სტუდენტების ურთიერთ გაგზავნის პრაქტიკის გაფართოება; თანამშრომლობა საერთაშორისო გამოფენათა და ბაზრობათა მოწყობაში, ტურიზმის განვითარება.

რეზოლუციის მესამე პროექტი მოითხოვს, რომ ევროპის ეკონომიურმა კომისიამ, მიიღებს რა მხედველობაში ამჟამად მსოფლიო მასშტაბით გადადგმული ნაბიჯებს ატომის ენერგიის საკითხთა საერთაშორისო საგენტოს შესაქმნელად, გაითვალისწინებს რა, რომ სასურველი იქნებოდა ეს ღონისძიებანი შევსებულიყო იმით, რომ მოეწყოს სრულიად ევროპის საფუძველზე რეგიონალური თანამშრომლობა მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების ეკონომიური ასპექტების დარგში. დაადგინოს შეიქმნას ატომის ენერგიის კომიტეტი შემდეგი კომპეტენციით: ატომის ენერგიის გამოყენების ეკონომიური ასპექტების შესწავლა განსაკუთრებით ელექტროენერგიის წარმოების დარგში; ხელშეწყობა ამ დარგში მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილების ურთიერთგაზიარებისათვის; სათანადო დოკუმენტალური მასალების შეგროვება და გავრცელება, ხელშეწყობა სპეციალისტთა ურთიერთ გამგზავრების ორგანიზაციისა და ინფორმაციის გაცვლისათვის.

რეზოლუციის ეს პროექტი მოითხოვს, რომ კომიტეტი თავის მუშაობას ასრულებდეს ატომის ენერგიის საერთაშორისო საგენტოსთან მჭიდრო კავშირში, თუ ასეთი დაწესდა, და საქმიანი კონტაქტები ჰქონდეს ევროპის შესაბამის საერთაშორისო და ეროვნულ ორგანიზაციებთან, რომლებიც დაკავშირებული არიან მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებასთან.

რეზოლუციების ამ პროექტების დასასაბუთებლად გამოვიდა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაური ი. გ. კაბანოვი. მან აღნიშნა, რომ ეკონომიური თანამშრომლობის თაობაზე სრულიად ევროპის შეთანხმების მომზადების შესახებ საბჭოთა კავშირის წინადადების მიზანია იმ ამოცანების გადაჭრა, რომლებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ითვალისწინებს. წინადადება სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოების შესახებ, განაცხადა ი. გ. კაბანოვმა, შეესაბამება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიზნებს ეკონომიურ დარგში — ხელი შეუწყოს ცხოვრების დონის ამაღლებას. სრულ დასაქმებასა და ეკონომიურ პროგრესს, საერთაშორისო ეკონომიური პრობლემების გადაწყვეტას.

საბჭოთა წარმომადგენელმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხთა ევროპის ეკონომიური კომისიის სპეციალური ორგანოს შექმნა დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნებოდა ასეთი თანამშრომლობის მიმართულებით, რომლითაც დაინტერესებულია ევროპის ყველა სახელმწიფო. მან თქვა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელება შექმნის ეკონომიური თანამშრომლობის უფრო ხელსაყრელ პირობებს.

სახალხო დემოკრატიის ქვეყნების წარმომადგენლებმა სავსებით დაუჭირეს მხარი ამ წინადადებებს, რომელთა მიზანია ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება.

ინგლისის, საფრანგეთის, ნორვეგიის, შვეიცის, დანიის, ფინეთისა და სხვა ქვეყნების წარმომადგენლებმა კმაყოფილება გამოთქვეს საბჭოთა წინადადებების შეტანის გამო. მხარი დაუჭირა რა პრინციპულად რეზოლუციის პროექტს, რომ ევროპის ეკონომიურ კომისიაში შემუშავდეს რეკომენდაციები აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის საქმიანი კონტაქტების განსავითარებლად, სესიის მონაწილეთა უმრავლესობამ აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა უფრო გულდასმით იქნას შესწავლილი რეზოლუციების სამივე პროექტი, რომლებიც საბჭოთა კავშირის დელეგაციამ შეიტანა.

მთელი რიგი დელეგაციების სურვილის შესაბამისად რეზოლუციების საბჭოთა პროექტების განსახილველად შეიქმნა სპეციალური კომიტეტი, რომელშიც შეივიდნენ სსრ კავშირის, ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის შეერთებული შტატების, შვეიცის (თავჯდომარე) ჩეხოსლოვაკიისა და პოლონეთის წარმომადგენლები.

ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტმა სუკარნომ მიიღო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევა ჩამოვიდეს საბჭოთა კავშირში

ამ დღეებში სსრ კავშირის ელჩმა ინდონეზიაში დ. ა. ფუკოვმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და პირადად კ. ე. ვოროშილოვის სახელით ინდონეზიის რესპუბლიკის პრეზიდენტს ბ-ნ სუკარნოს გადასცა მოწვევა ოფიციალურად ჩამოვიდეს სსრ კავშირში.

პრეზიდენტმა სუკარნომ ეს მოწვევა მიიღო და გამოთქვა მზადყოფნა სსრ კავშირში ჩამოვიდეს აგვისტოს ბოლოს და სსრ კავშირში დარჩეს 1956 წლის სექტემბრის პირველ ნახევარს. (საკდესი).

წყალში ჩაუშვეს საბჭოთა კავშირისათვის ბელგიაში აგებული თბომავალი

ბრიუსელი. (საკდესი). ამ დღეებში ბელგიის ქალაქ ტამიზში წყალში ჩაუშვეს სატვირთო თბომავალი „სტანისლავსკი“, რომელიც საბჭოთა კავშირის დაკვეთით ააგო გემთმშენებელმა ფირმამ „ბოელმა“. ეს სათვალავით ოცდამეორე გემია, რომელიც 1949 წლიდან ააგეს აქ საბჭოთა კავშირისათვის.

წყალში ხომალდის ჩაშვებას დაესწრნენ ფირმა „ბოელის“ ხელმძღვანელნი და მუშები, ბელგიის ხელისუფალთა და საქმიანი წრეების წარმომადგენლები, ათასობით ადგილობრივი მცხოვრები, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩი ბელგიაში ვ. ი. ავილოვი, სავაჭრო წარმომადგენელი ლ. ა. რაზინი და საბჭოთა კინომუშაკების აქ მყოფი დელეგაციის წევრები.

წყალში ხომალდის ჩაშვების შემდეგ ფირმა „ბოელის“ ხელმძღვანელობამ მუნიციპალურ ხელისუფალთა წარმომადგენლებთან ერთად ქალაქის რატუშის შენობაში გამართა საზეიმო სადილი, რომელზეც იყო რამდენიმე ასეული კაცი. გემთმშენებელი ფირმის დირექტორმა ვან დამემ წარმოთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიც მოითხოვა ბელგიისა და საბჭოთა კავშირის საქმიანი ურთიერთობის შემდგომი განმტკიცება. ფირმა „ბოელის“ პერსონალის სახელით სიტყვა წარმოსთქვა მუშა ვან ლარემ. მან მადლობა გადაუხადა საბჭოთა მთავრობას დაკვეთებისათვის, რომლებიც ბელგიის ბევრ მუშას უზრუნველყოფენ სამუშაოთი.

საპასუხო სიტყვებში სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელმა რაზინმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა გრიცენკომ და სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ბორისოვმა მოუწოდეს დამსწრეთ განმტკიცონ ეკონომიური და კულტურული ურთიერთობა, რაც ხელს უწყობს ბელგიელი და საბჭოთა ხალხების ურთიერთგაგებისა და მეგობრობის განვითარებას.

ნერუს გამოსვლა მიჯინგზე დღეში

დელი, 14 აპრილი. (საკდესი). გუშინ ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დელში მიტინგზე წარმოთქვა სიტყვა, რომელშიც დაწვრილებით ილაპარაკა ქაშმირის საკითხზე. მან განაცხადა, რომ ქაშმირში პლებისციტის მოწყობის პირობები, რომლებიც ითვალისწინებენ ქაშმირის ოკუპირებული რაიონებიდან პაკისტანის ჯარების გაყვანას, არ შესრულებულა, თუმცა ქაშმირის საკითხზე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილების მიღებიდან 7 წელიწადი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მიხდა ახალი ამბები, მათ შორის პაკისტანის მიერ ამერიკის სამხედრო დახმარების მიღება. შემდეგ, პაკისტანი შეუერთდა სეატოსა და ბაღდადის პაქტს, მაშინ როცა ინდოეთი არ შედის არავითარ სამხედრო კავშირში. მდგომარეობის ასეთი ცვლილებისას არ შეიძლება მოველოდეთ ქაშმირში პლებისციტის მოწყობას.

შემდეგ ნერუმ აღნიშნა მდგომარეობის ცვლილება თვით ქაშმირში, მათ შორის ქაშმირის დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება— ქაშმირი შეუერთდეს ინდოეთს, განვითარების გეგმების განხორციელება, მიწის რეფორმის განხორციელება და სხვ. მეორე მხრივ, „თავისუფალ ქაშმირში“ (ქაშმირის ნაწილი, რომელიც დაკავებულ აქვთ პაკისტანის ჯარებს) არჩევნები არ მოხდარა, და ქაშმირის ეს ნაწილი მძიმე მდგომარეობაშია.

ნერუმ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ქაშმირის შესახებ მიღებული არ იქნება არავითარი გადაწყვეტილება, თუ იგი ქაშმირელი ხალხის ნებას არ შეესაბამება.

პრემიერ-მინისტრმა ნერუმ აღნიშნა, რომ ისეთი სამხედრო ორგანიზაცია, როგორიც არის სეატო, ქაშმირის საქმეებში არ უნდა ერეოდეს.

დასასრულ პრემიერ-მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა ინდოეთის ინდუსტრიალიზაცია და განსაკუთრებით მეტალურგიის განვითარება, რათა უზრუნველყოფილ იქნას ინდოეთის ეკონომიური დამოუკიდებლობა. ჩვენი საბოლოო მიზანია, თქვა მან, სოციალიზმი, და ჩვენ მივაღწევთ მას.

სსრ კავშირის პირველობა ფეხბურთში

ბოლო ტურები, უფრაფული

ბრძოლა

უკანასკნელი ორი საფეხბურთო სეზონი თბილისის დინამოელებმა სამარცხვინოდ დაამთავრეს. მათ დაკარგეს კარგი ტრადიცია — შესანიშნავი ბრძოლისუნარიანობა, თამაშის თავისებური სტილი, სიმძაფრე, ტემპი.

მაგრამ ჩვენ ახლა ამაზე როდი გვაქვს ლაპარაკი. საქმე ეხება 1956 წლის საფეხბურთო სეზონს, XVIII ჩემპიონატში თბილისის დინამოელთა სუსტ სტარტს. თითქოს ყველაფერი რიგზეა — ახალი ხელმძღვანელობა, კარგი მწვრთნელები, შემადგენლობის სიახლე, გუნდის გაძლიერება — წინსვლა კი არ ჩანს.

ნხოლოდ ერთი ქულა საკუთარ მოედანზე გამართულ 3 მატჩში — უთუოდ სუსტი სტარტია. ვინც თბილისის დინამოელთა პირველ ორ შეხვედრას ესწრებოდა და მოწმე იყო განვლილი მატჩების დაძაბული ბრძოლისა, მისთვის მოულოდნელი და გაუგებარიც კი დარჩა, რამ გამოიწვია მათი არაკოლექტიური და დაბნეული თამაში „ლოკომოტივის“ წინააღმდეგ 15 აპრილს.

ამ დღეს მაყურებლებმა უკმაყოფილოდ დატოვეს სტადიონი პირველ რიგში იმიტომ, რომ მათ ვერ ნახეს ოსტატთა ჭეშმარიტად ოსტატური ბრძოლა. არც „ლოკომოტივს“ დაუტოვებია ბალალტექნიკური გუნდის შთაბეჭდილება, ნაგრამ რკინიგზელი ფეხბურთელები დინამოელს სჯობნიდნენ ბურთისათვის ბრძოლაში, ერთსულოვნებაში, ტემპში.

პირველი ტაიმის მე-7 წუთზე სტუმართა მიერ გატანილი ბურთი ერთადერთი აღმოჩნდა მთელ თამაშში. ეს გოლი გამოწვეული იყო ნაზეკარდამცველთა და დამცველთა შეცდომით. საერთოდ, „დინამოს“ დამცველთა რიგებში მონოლითურობის ნაცვლად ხშირად იგრძნობა პანიკა. დამცველებისაგან მოწყვეტილი არიან ნახევარდამცველები, ზშირად კარგავენ ბურთს, მის მისაღებად და დასამუშავებლად კი ნაკლებად იბრძვიან.

„დინამოს“ თავდამსხმელთა ხუთეულის შემადგენლობა სუსტი როდია, მაგრამ ამ დღეს ისინი ამკარად სუსტად გამოყურეზოდნენ. თითქმის არც ერთი გააზრებული კომბინაცია, ორგანიზებული შეტევა. თუ უკანასკნელ წუთებში დინამოელები უტევდნენ, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ სტუმრები მთლიანად დაცვაზე გადავიდნენ.

ამ მატჩიდან დინამოელებმა დროული დასკვნა უნდა გააკეთონ. ასეთი თამაში მოუტანებელია. წინ არის მრავალი პასუხსაგები ბრძოლა, მდგომარეობის გამოსწორება უთუოდ შესაძლოა, და კიდევაც უნდა გამოსწორდეს.

გვერდს ვერ ავუვლით მსაჯობას. ე. ოდინცოვი (ლენინგრადი) არადამაჯერებლად სჯიდა ამ მატჩს. მან ვერ აღაკვეთა უხეშობა, სასტვენის განუწყვეტელი ხმით შეანელა ისედაც უფერული და უინტერესო თამაშის ტემპი.

ვ. ზაბელია.

• • •

ქიშინიოვი. 15 აპრილი. საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდი შეხვდა ქიშინიოვის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა კოლექტივს. „ბურევესტნიკმა“ მაღალ სპორტულ დონეზე ჩაატარა შეჯიბრება და მოიგო მატჩი ანგარიშით 3:1.

ქიევი. 15 აპრილი. აქ შედგა XVIII ჩემპიონატის მორიგი მატჩი კიევის „დინამოსა“ და ლენინგრადის „ზენიტის“ გუნდებს შორის. საინტერესო ასპარეზობა დამთავრდა ფრედ 1:1.

„ბ“ კლასი

დონის როსტოვი. 15 აპრილი. (სპეც. კორ.). თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდმა მეორე მატჩი გამართა დონის როსტოვში ადგილობრივ „ტორპედოსთან“. 90-წუთიანი ბრძოლა დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:1.

რედაქტორი ბ. ფირცხალავა.

მსოფლიოს რუკასთან

მაროკო

„შავი აფრიკის“ კონტინენტის კიდევ ერთი ქვეყანა — მაროკო განთავისუფლდა კოლონიური ბატონობის უღლისაგან და დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგა. მიმდინარე წლის 2 მარტს ხელმოწერილ იქნა საფრანგეთ-მაროკოს ერთობლივი დეკლარაცია მაროკოს დამოუკიდებლობის შესახებ. ამით წარმატებით დაგვირგვინდა მაროკოს ხალხების სამართლიანი, ხანგრძლივი და გმირული ბრძოლა ეროვნული დამოუკიდებლობისათვის.

მაროკო მდებარეობს აფრიკის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მას ორი მხრიდან აკრავს ატლანტის ოკეანე და ხმელთაშუა ზღვა. ხმელეთით კი მისი მოსაზღვრეა ალეირი და ესპანეთის საპარი.

ეს ქვეყანა მსოფლიო სავაჭრო და სამხედრო-სტრატეგიულ გზებზე მდებარეობს. ამიტომ მისკენ ყოველთვის მიპყრობილი იყო უცხოელი დამპყრობლების თვალი. მისდამი ინტერესი განსაკუთრებით გაძლიერდა იმპერიალიზმის ეპოქაში.

მაროკოს ტერიტორია სულ 440 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, მოსახლეობა კი 10,3 მილიონს.

მაროკოს ძირითადი მოსახლეობა ბერბერები და არაბები არიან. მათ შორის მკვიდრნი არიან ბერბერები, რომლებიც შემდეგ არაბებში გათქვეფნენ და მათგან შეითვისეს არაბული ენა. სხვადასხვა ბერბერულ დიალექტზე ამჟამად ლაპარაკობს მცხოვრებთა ორი მეხუთედი. გარდა ამისა, იქ ცხოვრობენ ევროპელებიც — ფრანგები, ესპანელები და ა. შ.

ფრანგი კოლონიზატორები უკვე მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან ცდილობდნენ მაროკოს დაპყრობას, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა დიდხანს უწევდა მათ სასტიკ წინააღმდეგობას.

1902 წელს საფრანგეთსა და იტალიას შორის დადებული საიდუმლო შეთანხმებით საფრანგეთმა ნება მისცა იტალიას დაეპყრო ტრიპოლი, სამაგიეროდ იტალია დათანხმდა იმაზე, რომ საფრანგეთს შემოეერთებინა მაროკო. ინგლიაც შეთანხმდა დაიდო 1904 წელს საფრანგეთსა და ინგლისს შორის. ინგლისმა უარი განაცხადა მაროკოსადმი პრეტენზიებზე, სამაგიეროდ საფრანგეთმა ნება მისცა ინგლისს გაბატონებულიყო ეგვიპტეში. საფრანგეთი დაეთანხმა გერმანიას იმაზე, რომ მაროკოს საკომპენსაციოდ მოხ მიეღო კონგო.

1912 წლის 30 მარტს ფრანგებმა აიძულეს მაროკოს სულთანი მულაი-ხაფიდი ქალაქ ფესში დაედო ხელშეკრულება პროტექტორატის შესახებ. იქ აღინიშნული იყო, რომ მაროკო ნებაყოფლობით უერთდება საფრანგეთს. სინამდვილეში ეს აიძულებით იყო გაფორმებული. მაროკოს ხალხი არასოდეს არ ცნობდა ამ ხელშეკრულებას.

ეკონომიურად მაროკო სუსტად განვითარებული ქვეყანაა. მეურნეობის ძირითად დარგს წარმოადგენს სოფლის მეურნეობა, რომელიც პრიმიტიული და ჩამორჩენილია. ფრანგმა გენერლებმა, ოფიცრებმა, მსხვილმა მოხელეებმა, სპეკულანტებმა, ითლი გზით გამდიდრების მოყვარულებმა მაროკოში მიიტაცეს საუკეთესო მიწები და მოაწყეს თავიანთი მეურნეობები. ფლს 5.500-ზე მეტი ფრანგი მემამულე მაროკოში ფლობს ერთ მილიონზე მეტ ჰექტარ მიწას, მაშინ როცა სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის გამოსაყენებელი ფართობი სულ 4,7 მილიონ ჰექტარს შეადგენს. საშუალოდ თვითეულ ფრანგ მემამულეზე მოდის 180 ჰექტარი მიწა, მაშინ როცა ადგილობრივი მოსახლეობის დიდ უმრავლესობას სრულებით არა აქვს მიწა.

სოფლის მეურნეობაში დანყრგილი არ არის მექანიზაცია. გლეხები (ფელაჰები) ნიადაგს ხნავენ კავით, ხოლო ამუშავებენ თოხით. მხოლოდ ფრანგი მემამულეები სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებით და მინერალური სასუქებით. მოსავალს ზშირად გვალვა ანადგურებს.

მაროკოს მიწათმოქმედებაში ძირითადი კულტურა მარცვლეულია. მოჰყავთ ქერი, ხორბალი, სიმინდი, შვრია, სორგო და სხვ. გაშენებული აქვთ აგრეთვე ვენახები, ლიმონის, ფორთოხლის, მანდარინის პლანტაციები.

არაბები და ბერბერები ტრადიციულად მისდევენ მომთაბარე ან ნახევრადმომთაბარე მეცხოველეობას. ცხვრის სულადობა მაროკოში 11 მილიონს შეადგენს, ხოლო თხისა — 8 მილიონს. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა ორ მილიონს აღწევს.

მაროკო მდიდარია წიაღისეულით, მაგრამ იგი ჯერ კიდევ ნაკლებად არის შესწავლილი. აქ საკმაო რაოდენობით არის ფოსფორიტები, კოლფრამისა და რკინის მადანი, ნავთობი, ტყვია, თუთია, მარგანეცი, კობალტი, მოლიბდენი, ურანი და სხვ. ფოსფორიტებს მოპოვებს მხრივ მაროკოს კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის ერთ-ერთი პირველი ადგილი უჭირავს.

თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიული საწარმოება მაროკოში არ არის. იქ უმთავრესად წვრილი საწარმოებია, რომლებიც ამუშავებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს. შედარებით უფრო განვითარებულია საფეიქრო მრეწველობა.

მაროკოელი მუშები სასტიკ ექსპლოატაციას განიცდიან. მოკლებული არიან ეკონომიურ და პოლიტიკურ უფლებებს. დღეღამეში 12-14 სათს მუშაობენ. მათ მუსრს ავლებს სხვადასხვა ავადმყოფობა. საექიმო მომსახურება კი დაბალ დონეზეა.

კოლონიზატორთა ბატონობის შედეგი ისიც, რომ მეტად ჩამორჩენილია სახალხო განათლება. ორი მილიონი ბავშვიდან სკოლაში დადის მხოლოდ 116 ათასი. მოსახლეობის 80 პროცენტი წერა-კითხვის უცოდინარია.


ესპანეთი
ქალბისი
ბრიტანეთის სარეგ.
ბრიტანეთი
ტანჟერი
ტეთუანი
ზღვა
ალბორანის
ალბორანი
ალბორანის ესპანეთის ზონა
ალბორანის ესპანეთის ზონა
ატლანტის
ოკეანე
ფესი
ულეა
ტლემსენი
ალჟირი
ალჟირი
ალჟირ